

ახალი განათლება

4 – 10 მაისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№16 (770) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 2

არსად ისმის, რომ მასწავლებლობა კეთილშობილური საქმეა

* * *

მასწავლებლების პროფესიული ზრდა რომ მოხდეს, მნიშვნელოვანია, პროფესიაში საუკეთესო ახალგაზრდები მოვიზიდოთ, ის ახალგაზრდები, რომლებსაც შესაძლებლობები აქვთ მაღალი და იმის ამბიცია, რომ უნდათ, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის რაღაც სიკეთე შექმნან. დღეს ამის წახალისება არ ხდება.

* * *

ვფიქრობ, განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ცდილობს ყველა პრობლემა ერთგვაროვანი გადაწყვეტილებებითა და ერთგვაროვანი პოლიტიკის ინსტრუმენტებით მოაგვაროს.

...ჩვენს სახელმწიფოში არასდროს არ ყოფილა ისეთი პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ექსპერტებს სკოლაში გარკვეული პროცესების განვითარებაში დასახმარებლად გააგზავნიდა, ვთქვათ, სწავლების მეთოდების დახვეწაში ან რესურსების მართვაში და ა.შ. სკოლების მიმართ მუდმივად წაყენებულია მოთხოვნები თუ რეგულაციები და არ მუშაობს დახმარების სისტემები. ეს ძალიან აკლია სკოლას, პოლიტიკის დიფერენცირება სწორედ ამაში დაეხმარებოდა მათ.

სახელმწიფო დღეს ყველას ერთნაირად ეხმარება (თუ ეხმარება) და ერთნაირად ზღუდავს. სინამდვილეში სკოლების დიფერენცირება იმის მიხედვით უნდა მოხდეს, თუ რა შეუძლიათ ან რა სურთ.

სიმონ ჯანაშია

წიგნის თარო — მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი   მიმდინარეობს ხელმოწერა

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი **მაია სიმონიშვილი**

„ბიბლიოთეკა ყველა ქვეყანაში ყველაზე დემოკრატიული ადგილია, ის ერთნაირად ემსახურება ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნებისა, რასისა, სქესისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა. ეს ყველა ქვეყნის საჯარო ბიბლიოთეკის კონცეფციაში დევს.“

გვერდი 6

CMYK

სტუმარი

არსად ისმის, რომ მასწავლებლობა კეთილშობილური საქმეა

სტუმარია განათლების მკვლევარი, დოქტორი სიმონ ჯანაშია. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი, განათლების სფეროს ეხება, იმ თემებს, რომლებიც საზოგადოებისა და დარგის სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანი და, ხშირ შემთხვევაში, პრობლემურიცაა. ჩვენი რესპონდენტი განათლების პოლიტიკის დიფერენცირების, არსებული პროცესების გამოსწორების შესაძლებლობების, „წაუხალისებელი " პროფესიის პოპულარიზაციის აუცილებლობის, სახელმძღვანელოების გრიფირების წესში არსებული პრობლემების შესახებ საუბრობს. ყურადღებას ამახვილებს გაკვეთილების შემცირების დადებით და უარყოფით მხარეებზე და კერძო სკოლებს საჯარო სკოლების განვითარების სერიოზულ ბარიერად განიხილავს. მისი აზრით, „მასწავლებლების პროფესიული ზრდა რომ მოხდეს, მნიშვნელოვანია, პროფესიაში საუკეთესო ახალგაზრდები მოვიზიდოთ, ის ახალგაზრდები, რომლებსაც შესაძლებლობები აქვთ მაღალი და იმის ამბიცია, რომ უნდათ, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის რაღაც სიკეთე შექმნან" და საუკეთესო გამოსავალი – „როცა წინასწარ ვხარჯავთ ენერგიას, რაც შეიძლება კარგად იყოს მომზადებული ის ხალხი, ვინც სკოლაში შედის და შემდეგ – ნაკლებ ენერგიას მათ შემოწმებაში."

– პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო, რაც ერთ-ერთი სერიოზული თავსატეხია ხოლმე მშობლებისთვის, იმის გამო, რომ უჭირთ სკოლის შერჩევა. ძირითადად, ახლობლების, მეგობრების და ნაცნობების დახმარებით იგებენ სკოლებზე ინფორმაციას. თვითონ სკოლები კი ნაკლებად ცდილობენ საკუთარი საქმიანობის შესახებ მშობლების ინფორმირებას. როგორ შეარჩიოს მშობელმა სკოლა?

– რთული საკითხია, იმიტომ, რომ მშობლების ინტერესები სკოლების მიმართ განსხვავდება ხოლმე, სკოლებიც ვერ ახერხებენ იმის გარკვევას, რა ინფორმაცია მიაწოდონ და როგორ. მათ საკმაოდ ცუდი საინფორმაციო საშუალებები აქვთ, სკოლის ვებგვერდები მაინცდამაინც მშობლებზე არ არის გათვლილი და ხშირად არც სკოლის შერჩევისთვის გამოიყენება და არც შემდეგი ურთიერთობებისთვის. კერძო სკოლები ამას უფრო მეტად ცდილობენ, საჯარო სკოლები, ზოგადად, თუ მოსწავლეთა მოზიდვის პრობლემა აქვთ, მხოლოდ მაშინ ზრუნავენ ამაზე, სხვა შემთხვევაში, წინასწარ იციან თავიანთი კონტინგენტი და იმაზე მეტს მაინც ვერ მიიღებენ. სოფლებში კი საერთოდ წინასწარ იციან, თეორიულად, რამდენი ბავშვი შეიძლება მივიდეს სკოლაში და უფრო მშვიდად არიან, რადგან იმ ბავშვებისთვის სხვა არჩევანიც არ არსებობს.

მშობელი ცუდ დღეშია, რადგან ის სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას უნდა დაეყრდნოს და ხშირად ეს ინფორმაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რადგან ერთი მშობლის გამოცდილება განსხვავდება მეორე მშობლის გამოცდილებისაგან, თუნდაც ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლიდეს მათ შვილებს. ისინი განსხვავებულ ინფორმაციას აწვდიან მესამეს, იმიტომ, რომ, თავისთავად, მათ განსხვავებული ღირებულებები აქვთ. ყველაზე კარგია, მშობელი თვითონ მივიდეს წინასწარ სკოლაში, დააკვირდეს გარემოს – როგორი ურთიერთობებია ბავშვებს შორის, მასწავლებლებს შორის. მშობელმა დერეფანშიც რომ გაიაროს, მაშინვე მიხვდება, რა არის სკოლისთვის მთავარი ღირებულება – ბავშვები აინტერესებს თუ სკოლის ადმინისტრაციის მიღწევების სხვებისთვის ჩვენება. მაგალითად, იმ სკოლებში, სადაც გამოფენილია ბავშვების ნამუშევრები, მაშინვე ჩანს, რომ ბავშვების შემოქმედებას, აზროვნებას და განვითარებას სცემენ პატივს. თუ სკოლა ორიენტირებულია უფრო სტანდარტების შესრულებაზე და სახელმწიფოსთვის ამის ჩვენებაზე, მაშინ უფრო სტანდარტული თვალსაჩინოებებია გამოკრული და არა ბავშვების ნამუშევრები და ა.შ.

*ეხთ-ეხთი მნიშვნელოვანი ხრობლემა ჩვენს სისტემაში ტექნოლოგიების ხასასხმარისი გამოყენებაა, ჩვენს სკოლებში იმასას ხი იყენებენ, რასა 	sთ. ალბას საჭიროებები უკვე გამოვლენილია და იმაზე ხი ხდება ალაბიხება, სამაბიეროდ, ვიბონებთ ახალ საჭიროებებს იმის მიხედვით, რომ ჯეი გვაქვს ხრობლემის გადაწყვეტა და მეორე ვექებთ ხრობლემებს.*

პრინციპში, დაწყებით კლასებში, მთავარია მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან. თუ სკოლას არ აქვს მასწავლებლების საგნობრივი დაყოფის პრინციპი და ერთი მასწავლებელი ასწავლის ყველა საგანს, მაშინ პირდაპირ იმ მასწავლებელს უნდა დაელაპარაკონ და ეს იქნება სკოლის არჩევის საუკეთესო გზა. კლასის დამრიგებელი უნდა გაიცნონ, თუ არჩევანი აქვთ მშობლებს, იმიტომ, რომ ნაწილს არჩევანი არც აქვს.

– რას ფიქრობთ სკოლების დიფერენცირების პოლიტიკის შესახებ და სკოლების ბრენდირება იქნება თუ არა სწორი ნაბიჯი, რას გამოიწვევს სკოლებისთვის წამყვანი სტატუსის მინიჭება?

– ვფიქრობ, განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ცდილობს ყველა პრობლემა ერთგვაროვანი გადაწყვეტილებებითა და ერთგვაროვანი პოლიტიკის ინსტრუმენტებით მოაგვაროს. მაგალითად, თუ სახელმწიფოში არსებობს, ზოგადად, მასწავლებლების კვალიფიკაციის ან მოზიდვის პრობლემა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთი და იმავე სქემით ცდილობს სახელმწიფო ამ პრობლემების მოგვარებას ნებისმიერი ტიპის სკოლაში – იქ, სადაც მასწავლებლის არჩევანი არსებობს და იქაც, სადაც მასწავლებელი აკლიათ, რაც არასწორია. ერთგან შეზღუდვები შეიძლება ეხმარებოდეს ხარისხის ამაღლებას და მეორეგან კი, პირიქით, ხარისხის კლებას იწვევდეს. პატარა სკოლებისთვის პრობლემაა მასწავლებლების მოძიება, დიდი სკოლებისთვის კი პრობლემაა ოპტიმალური შერჩევა მათ შორის, ვინც ჰყავთ. ასე რომ, პოლიტიკის დიფერენცირება უნდა მოხდეს სხვადასხვა მიმართულებით და არა – სკოლების.

პოლიტიკის დიფერენცირების ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს, მაგალითად, სკოლებში სასწავლო გეგმების მიხედვით მოთხოვნების დიფერენცირება. მაგალითად, შეიძლება ერთ სკოლას შედარებით მეტი პასუხისმგებლობა და თავისუფლება ჰქონდეს, ვიდრე მეორეს, რადგან ეს შესაძლებლობებზეცაა დამოკიდებული. ასევე, შეიძლება სკოლები ერთმანეთისგან ფინანსური მართვის თვალსაზრისითაც განსხვავდებოდნენ. მაგალითად, ერთი და იმავე სკოლას მეტი თავისუფლება შეიძლება ჰქონდეს ფინანსური მართვის მხრივ და ნაკლები – სასწავლო გეგმის თვალსაზრისით. ასე რომ, სკოლების ბრენდირება კარგ, საშუალო ან წამყვან სკოლებად არ უნდა მოხდეს – როდესაც სკოლას მიენიჭება სტატუსი, მის განვითარებას სწორედ ის სტატუსი განაპირობებს. თუ სკოლას ჩამორჩენილი სკოლის სტატუსი მიენიჭება, ამ შემთხვევაში, დიდი შანსია, რომ უკეთესი სტატუსის მქონე სკოლაში წავიდნენ საუკეთესო მასწავლებლები და ის ბავშვები, რომლებიც მოტივირებული არიან, რაც სკოლის განვითარების შესაძლებლობას კიდევ უფრო ამცირებს, არადა ეს სხვებზე მეტად სჭირდება. ვინც რჩება, იმათი მოტივაციაც, კარგად ისწავლონ ან ასწავლონ, იკლებს. ეს ფენომენი კარგადაა შესწავლილი. ამიტომ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, იარლიყი მივაწებოთ, არამედ ვიცოდეთ, რომელ სკოლას რა პრობლემა აქვს, რომ დავეხმაროთ, მაგალითად, დამატებითი რესურსებით ან საკონსულტაციო სერვისების გაძლიერებით და ა.შ. ჩვენს სახელმწიფოში არასდროს არ ყოფილა ისეთი პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ექსპერტებს სკოლაში გარკვეული პროცესების განვითარებაში დასახმარებლად გააგზავნიდა, ვთქვათ, სწავლების მეთოდების დახვეწაში ან რესურსების მართვაში და ა.შ. სკოლების მიმართ მუდმივად წაყენებულია მოთხოვნები თუ რეგულაციები და არ მუშაობს დახმარების სისტემები. ეს ძალიან აკლია სკოლას, პოლიტიკის დიფერენცირება სწორედ ამაში დაეხმარებოდა მათ.

სახელმწიფო დღეს ყველას ერთნაირად ეხმარება (თუ ეხმარება) და ერთნაირად ზღუდავს. სინამდვილეში სკოლების დიფერენცირება იმის მიხედვით უნდა მოხდეს, თუ რა შეუძლიათ ან რა სურთ. თუ ამბობს სკოლა, რომ მას არ უნდა თავისუფლება, რომ თავად შეისყიდოს რაღაცები, ეს შეიძლება მისი შესაძლებლობებიდანაც გამომდინარეობდეს – პატარა სოფლის პატარა სკოლას შეიძლება არ შეეძლოს ფინანსური მენეჯერის პოვნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ერჩიენოს, რესურსცენტრმა შეიძინოს მისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთები, ვიდრე თვითონ გამოაცხადოს ტენდერი; ასევე, შეიძლება სკოლამ გამოთქვას სურვილი, თავად შეისყიდოს საჭირო ნივთები, მაგრამ არა სახელმწიფო შესყიდვებით, არამედ ისე, როგორც ამას არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ, მაგრამ არ ჰყოფნიდეს ამის შესაძლებლობა ან არ იცოდეს სწორად რეგულაციები. ამ შესაძლებლობების გაჩენაში მას სახელმწიფო უნდა დაეხმაროს და ასწავლოს, როგორ გააკეთოს ისე, რომ პრობლემები არ შეექმნას. ამიტომ, სახელმწიფომ ჯერ სკოლებს უნდა ჰკითხოს, ვის რა უნდა და მერე გაარკვიოს, აქვთ თუ არა შესაბამისი შესაძლებლობები და არა ისე, როგორც ხდება – თავად ჩამოაყალიბოს, რომელ სკოლას რა შეუძლია ან რა სჭირდება. ვფიქრობ, შეცდომაა, როცა საუბრობენ იმაზე, რომ სახელმწიფო ჯერ დაადგენს სკოლების ჩამონათვალს და მერე დაიწყებს მისადაგებას დიფერენცირებულად. ასეთი სისტემები ცუდად მუშაობს. დიფერენცირების გამოცდილება უკვე არსებობს.

– როგორია უცხოური გამოცდილება?

– სამწუხაროდ, ქართული გამოცდილება გვავიწყდება ხოლმე. ჩვენ გვაქვს სკოლები, სადაც განსხვავებული პროგამებით ასწავლიან, მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკურის ან უცხო ენების გაძლიერებული პროგრამებით. როგორ გახდნენ ისინი ასეთები, როგორია მათი გამოცდილება? მაგალითად, ვეკუას სკოლას ან კომაროვის სკოლას სხვა შესაძლებლობები აქვთ იმისთვის, რომ უკეთ ასწავლონ ფიზიკა-მათემატიკა. ამ სკოლებს ყოველთვის მეტი მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფოსგან. მაგალითად, კომაროვის სკოლას საერთო საცხოვრებელიც ჰქონდა და შედარებით მეტი თავისუფლება ფინანსების მართვის თვალსაზრისით, არაფორმალურ გადასახადებსაც აწესებდნენ, რითიც უფრო მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგების შემოსვლას აფინანსებდნენ სკოლაში და ა.შ. სწორედ ამით მიაღწიეს წარმატებას. სხვა სკოლებს ვზღუდავთ, რომ იგივე არ გააკეთონ, რომ მეტი ფიზიკა-მათემატიკური სკოლა არ გვექნეს. დიფერენცირების სხვა გამოცდილებაც გვაქვს – არაქართულენოვანი სკოლების პროგრამები განსხვავდება ქართულენოვანი სკოლების პროგრამებისგან და ვიცით, რა ტიპის განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებენ ისინი მართვის დროს, მაგალითად, საათების დაგეგმვის, მასწავლებლების შერჩევის დროს და ა.შ. ეს გამოცდილებაც შეგვიძლია გავითვალისწინოთ.

რაც შეეხება უცხოურ გამოცდილებას, ბევრნაირი არსებობს. მაგალითად, ამერიკული გამოცდილება, სადაც მასწავლებლები გაცილებით უფრო დამოუკიდებლები არიან საკუთარი პროგრამების შემუშავებაში და საერთოდ არ არსებობს ერთიანი ამერიკული საგანმანათლებლო სტანდარტები, რომელსაც ყველა სკოლა უნდა დაექვემდებაროს. ნებაყოფლობითი სტანდარტებია, რომელსაც გარკვეული ოლქები და შტატები აღიარებენ, მაგრამ ისიც ძალიან ზოგადი. იმავე სკოლებში, შეიძლება მართვის ნაკლები თავისუფლება იყოს, ვიდრე საქართველოშია და მასწავლებლებს იქ სკოლა არ არჩევს, არამედ ოლქი (ჩვენი გაგებით – რესურსცენტრი); ასე რომ, რაიმე გამოცდილების პირდაპირ გადმოტანა ძნელია, ჩვენი საჭიროებებიდან უნდა გამოვიდეთ.

– რას ფიქრობთ „თავისუფალ გაკვეთილებზე" და ამ პროექტისთვის დახარჯულ საკმაოდ სოლიდურ თანხაზე? ამის გარდა, მინისტრი გეგმავს, 2017-2018 სასწავლო წელს, სავალდებულო გაკვეთილების რაოდენობის შემცირებას და სახალისო და არჩევითი გაკვეთილების რაოდენობის გაზრდას.

– თვითონ მიზანი, რომ სკოლა ბავშვისთვის სასიამოვნო ადგილი იყოს, მშვენიერია, მაგრამ კვირაში ერთხელ ერთი საინტერესო გაკვეთილის ჩატარება, თუნდაც კლასგარეშე აქტივობების სახით, რატომ გახდის სკოლას საინტერესოს, ვერ გეტყვით. 25 უინტერესო და 26-ე საინტერესო საათი მოსწავლეს სკოლის მიმართ განწყობას ვერ შეუცვლის. ამიტომ რთულია იმის გაგება, რას ელიან ამ პროგრამისგან, მით უფრო, რომ ის ინსტიტუციის ცვლილებაზეც არ არის ორიენტირებული. ამ პროგრამით მიღებული გრანტის ფარგლებში, მასწავლებელი ახალ პროგრამას რომ ქმნიდეს, რომლითაც მერე დაიწყებდა რაღაცის ჩანაცვლებას, მაშინ უფრო გამართლებული იქნებოდა, ან ამ გრანტით რომელიმე კონკრეტული თემის სწავლების პრაქტიკა რომ შეეცვალა და უფრო სახალისო, საინტერესო და ინტერაქტიული გაეხადა, ესეც გასაგები იქნებოდა და სასარგებლოც – სხვა მასწავლებლებიც დაინახავდნენ, რომ ამ თემის სწავლება უფრო საინტერესოდ შეიძლება. მაგალითად, ამას წინათ, ერთ-ერთმა მასწავლებელმა საინტერესო იდეა გამაცნო – როგორ ასწავლოს ისტორია სოციალური ქსელების გამოყენებით. მოსწავლეები ისტორიული პერსონაჟების როლებს გაინაწილებენ და მერე ერთმანეთში დისკუსიას დაიწყებენ, ისე როგორც სოციალურ ქსელებში აკეთებენ. ასეთი ინიციერებები და წახალისებები ძალიან საინტერესო იქნებოდა, რადგან ვნახავდით, როგორ იქმნება ახალი საგანმანათლებლო მეთოდები, გვეცოდინებოდა სკოლები, სადაც ეს ხორციელდება, სხვებიც ნახავდნენ და დანერგავდნენ. „თავისუფალი გაკვეთილები" კი გაუგებარია, რატომ იქნება ან რის შესახებ იქნება. თან მთავარი პრობლემა ის არის, რომ „თავისუფალ გაკვეთილებში" მოსწავლეების როლი საერთოდ არ ჩანს, არც თემის შერჩევაში და არც მის განხორციელებაში. მათთვის უფრო საინტერესო შეიძლება ყოფილიყო სასკოლო პროექტების დაფინანსება, სადაც მოსწავლეების დიდი რაოდენობა იქნებოდა ჩართული მასწავლებელთან ერთად, თან სხვადასხვა ასაკის და არა მაინცდამაინც ერთი და იმავე კლასის, რომელთაგან უმეტეს ნაწილს შეიძლება არც დაეინტერესოს „თავისუფალმა გაკვეთილებმა" და მასწავლებელს გაუწიონ ანგარიში მხოლოდ იმის გამო, რომ ეცოდინებათ, ამით ის დაფინანსებას მიიღებს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მინისტრს არ სჯერა, რომ არსებული პროცესების გამოსწორება შესაძლებელია და ცდილობს რაღაც ახალი გამოიგონოს, რომელიც პარალელურ პროცესებს შექმნის, საერთო ჯამში კი, შთაბეჭდილებას, რომ სკოლებში რაღაც იცვლება ან იქმნება.

რაც შეეხება გაკვეთილების შემცირებას, უბრალოდ, ირაციონალურია მხოლოდ იმის თქმა, რომ პროგრამები გადატვირთულია. აუცილებლად მეცნიერულად უნდა დავასაბუთოთ და არა მხოლოდ იმით, რომ მგონი მოსწავლეები გადატვირთული არიან ან ზედმეტად დიდხანს სხედან სკოლაში. არასწორია გაკ-

სტუმარი

ვეთილების რაოდენობა, კვირაში, კალენდრისგან დამოუკიდებლად განვიხილოთ. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოკლე სასწავლო კალენდარი გვაქვს და, კვირის განმავლობაში, კიდევ თუ გაკვეთილების რაოდენობას შევამცირებთ, დიდი შანსია, მოსწავლეებს არ დავუტოვოთ სათანადო შესაძლებლობა, საკმარისი დრო დაუთმონ იმ საკითხების შესწავლას, რაც საჭიროა ეროვნული სასწავლო მიზნების მისაღწევად. ამიტომ, ჯერ უნდა დავიწყოთ მიზნებით, არის თუ არა ისინი საზოგადოების მიზნების ადეკვატური და თუ ადეკვატურია, მაშინ რა უშლის ხელს ამ მიზნების მიღწევას? გამოსავალი რომ სწავლის დროის შემცირებაა, მე ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ.

გაკვეთილების შემცირებას კიდევ ერთი უარყოფითი მხარე აქვს – ერთი მხრივ, იმ სისტემაში, სადაც მასწავლებლის ხელფასი საათებზეა მიბმული, შემცირება ავტომატურად გამოიწვევს მასწავლებლის ხელფასის შემცირებასაც და მის პროტესტსაც. მეორე მხრივ, 4 საათის ნაცვალად, 3 საათში კიდევ უარესად ასწავლის საგანს. რაც მთავარია, არანაირი აზრი არ აქვს საათების შემცირებას, თუ არ ვიცით, რაში უნდა დახარჯოს სკოლამ ამით გამოთავისუფლებული ფული. მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ჩვენს სისტემაში ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენებაა. ჩვენს სკოლებში იმასაც არ იყენებენ, რაც აქვთ. რაღაც საჭიროებები უკვე გამოვლენილია და იმაზე არ ხდება რეაგირება, სამაგიეროდ, ვიგონებთ ახალ საჭიროებებს იმის მიხედვით, რომ ჯერ გვაქვს პრობლემის გადაწყვეტა და მერე ვეძებთ პრობლემებს – ჯერ ვიცით, რომ გაკვეთილები სახალისო გვინდა რომ იყოს და მერე ვეძებთ მიზეზს, რა უშლის ხელს, რომ იყოს სახალისო. ეს დავინახეთ მაშინაც, როცა სამოქალაქო განათლების გაძლიერება გადაწყვიტეს დაწყებითებში ისე, რომ საბუნებისმეტყველო სწავლება დაასუსტეს. სწორედ საბუნებისმეტყველო საგნებს მოაკლეს საათები და შემოიღეს „მე და საზოგადოება“. სამოქალაქო განათლებაში განათლების ხარისხი რომ დაბალი იყო, ეს არავის შეუსწავლია, სამაგიეროდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სწავლების ხარისხი რომ ძალიან დაბალია ჩვენს სკოლებში, დადასტურებულია. ჩვენ ვიცით, როცა ტარდება შეფასება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მეოთხე კლასში, საკმაოდ ცუდი შედეგები გვაქვს. იბადება კითხვა, დადასტურებულ პრობლემას რითი პასუხობთ? ამ გადაწყვეტილების მიღების დროს ნათლად ჩანდა, რომ არანაირი რაციონალური დასაბუთება არ არსებობდა, რომ ბუნებისმეტყველებას საათები მოკლებოდა და „მე და საზოგადოებას“ დამატებოდა. შეიძლება ასეთი საგანი ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ არა ბუნებისმეტყველების საგნის საათების შემცირების ხარჯზე.

- სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი წესი – რაში ხედავთ პრობლემას? მინისტრი ამბობს: *„დარწმუნებული ვარ და პასუხს ვაგებ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები იქნება ძალიან ხარისხიანი. ჩვენ ჯერ საუკეთესო წიგნებს გადავარჩევთ და შემდეგ საუკეთესოებში შედგება საფასო კონკურენცია, ანუ საუკეთესოებში ყველაზე დაბალი ფასის მქონეს ავირჩევთ“.*

– სახელმძღვანელოების გრიფირების წესში ორი პრობლემაა: პირველი, ეს არ არის განვითარებაზე ორიენტირებული ინსტრუმენტი და მეორე, კორუფციის შესაძლებლობას იძლევა – მინისტრს როდის ვისი სახელმძღვანელოს დამტკიცებაც მოუნდება, მაშინ შეუძლია დაამტკიცოს. არ არის ორიენტირებული განვითარებაზე, იმიტომ, რომ გამომცემლობებთან თანამშრომლობას გამორიცხავს. უბრალოდ, შესყიდვის სისტემაა – სახელმწიფო ამბობს, მომიტანეთ პროდუქტები და მე ამ პროდუქტებში ამოვარჩევ საუკეთესოს, შემდეგ, შეიძლება, საბოლოოდ, ფასზეც შევაჩერო ყურადღება. სახელმწიფო არ ამბობს მთავარს, რომ მას პარტნიორობით ქმნის. სახელმძღვანელო არ იქმნება ციდან, როგორ უნდა გაიზიაროს გამომცემლობამ სახელმწიფოს მიზნები, რომელიც ორიენტირებული იქნება, რაც შეიძლება იაფად გააკეთოს დამტკიცებადი წიგნი. ჩვენ გვახსოვს, როცა გრიფირება მსგავსი ჩარევების შესაძლებლობას იძლეოდა, მისი დამტკიცება არა მხოლოდ ხარისხის მიხედვით ხდებოდა, არამედ, მაგალითად, ავტორის ავტორიტეტის მიხედვით. თუ სახელმწიფო პოპულისტურ პოლიტიკას გააგრძელებს, შეიძლება მხოლოდ იმიტომ დაუმტკიცოს რომელიმე ავტორს ცუდი წიგნი, რომ ის ხალხში პოპულარულია ან მოძველებული სახელმძღვანელო დაამტკიცოს, რადგან ის პოპულარულია. ცხადია, ახალი ინოვაციური სახელმძღვანელო ვერ იქნება პოპულარული, რადგან ჯერ გამოცდილიც არ არის. ამ სისტემაში არც გამოცდის პროცესია გათვალისწინებული – არსებულ გრიფირების წესში სახელმძღვანელოს პილოტირების პროცესი საერთოდ არ არსებობს. 2004-დან 2009 წლამდე, როცა სახელმძღვანელოების პილოტირება ხდებოდა, სწორედ იმ პერიოდში შეიცვალა და შეიქმნა ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები.

თვისებრივად იმისგან განსხვავებულ სახელმძღვანელს, რაც დღეს არის, ვერ მივიღებთ არა მხოლოდ გრიფირების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არამედ თუნდაც იმ ვადებიდან გამომდინარე, რაც ახლა მისცეს გამომცემლობებს. 2010 წელსაც დაუშვეს ეს შეცდომა, როცა ექვსი კლასის სახელმძღვანელოს გრიფირება ერთდროულად დაიწყეს. მაშინ ვნახეთ, როგორ გაუარესდა სახელმძღვანელოების ხარისხი. ახლა იმავე პრაქტიკას აგრძელებენ. ამ დროს, უამრავი ხალხია განათლების სამინისტროში, რომლებსაც ეს პროცესი კარგად აქვთ გააზრებული და ხვდებიან, რომ შეუძლებელია, ერთი წლის განმავლობაში, ექვსი კლასის სახელმძღვანელო თვისებრივად შეიცვალოს. როგორც ჩანს, სამინისტროში გადაწვეტილებების მიმღებები სპეციალისტებს არ ელაპარაკებიან.

– კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა თანდათან იზრდება, რისი მანიშნებელია ეს ტენდენცია და რა შედეგებზე შეიძლება გაგვიყვანოს, მით უმეტეს, როცა საქართველოში კერძო სკოლები ბიზნესთანაა გაიგივებული?

– კერძო სკოლებში მეტი თავისუფლებაა, მასწავლებლები იქ უფრო მეტად ამიტომაც მიდიან – თავისუფლებაც უნდათ და ღირსეული შრომის პირობებიც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი და იგივე ხელფასი აქვს პეადაგოგს კერძო და საჯარო სკოლაშიც, ხშირად კერძოს ირჩევს, რადგან ხედავს, რომ მოთხოვნები მოსწავლეების მიმართ უფრო მაღალია, მოსწავლეებიც უფრო მოტივირებულები არიან, ინფრასტრუქტურაც უკეთესია და შედარებით მეტი თავისუფლება აქვს აირჩიოს სახელმძღვანელო, წაიყვანოს ბავშვები, გაკვეთილის ნაცვლად, პარკში, მუზეუმში და ა.შ. ადმინისტრაციის მხრიდანაც მეტი ხელშეწყობა აქვს.

მეორე მხრივ, თავად კერძო სკოლების ასეთი განვითარება სერიოზულ პრობლემებს უქმნის საჯარო სკოლების განვითარებას, იმიტომ რომ საუკეთესო რესურსები მიდიან კერძო სკოლებში და, ამ შემთხვევაში, ბავშვებიც უნდა განვიხილოთ, როგორც რესურსი. ერთი მოტივირებული ბავშვიც კი მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სხვა ბავშვებისთვის, რომ დაინახონ, რას შეიძლება მიაღწიონ. თუ კლასები მოტივირებული მოსწავლეებისგან იცლება, ყველა დანარჩენისთვის უფრო ძნელი და ძნელი ხდება დადებითი მაგალითების მოძიება. იგივე შეიძლება ითქვას მასწავლებლებზეც. საჯარო სკოლას, მრავალი ბარიერის გამო, უჭირს ისეთივე მაღალი კომპეტენციების მასწავლებლის პოვნა, როგორიც იყო ის, ვინც კერძო სკოლაში წავიდა.

თვისებრივად იმისგან განსხვავებულ სახელმძღვანელოს, რაც დღეს არის, ვერ მივიღებთ არა მხოლოდ გრიფირების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არამედ თუნდაც იმ ვადებიდან გამომდინარე, რაც ახლა მისცეს გამომცემლობებს. 2010 წელსაც დაუშვეს ეს შეცდომა, როცა ექვსი ჯერის სახელმძღვანელოს გრიფირება ერთდროულად დაიწყეს. მაშინ ვნახეთ, როგორ გაუარესდა სახელმძღვანელოების ხარისხი.

კერძო სკოლების ხელშეწყობა და საჯარო სკოლებისთვის ბარიერების შექმნა მნიშვნელოვნად აზარალებს საჯარო სკოლებს. იქ, სადაც კონკურენცია გაჩნდა კერძო და საჯარო სკოლებს შორის (ეს უფრო დიდ ქალაქებს ეხება), ხარისხის აწევაზე კი არა, სინამდვილეში, შენარჩუნებაზე უნდა ვიფიქროთ.

არსებობს სისტემები, სადაც ძალიან ცოტაა კერძო სკოლები ან საერთოდ არ არის და შედეგები ძალიან მაღალია. საჯარო სექტორის განვითარებისთვის, რაც ნაკლები იქნება კერძო სკოლა, მით უკეთესია. ხელისშემშლელია უკვე კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა. დიდი ალბათობით, თუ საჯარო სკოლების ნაწილში ასეთი ტენდენცია გაგრძელდა, ისწავლიან მხოლოდ ის ბავშვები, რომელთა მშობლებს უმაღლესი განათლება თავად არ აქვთ მიღებული, ან ცუდი სასკოლო განათლება აქვთ, ან ისეთი მშობლების შვილები, რომლებიც სამუშაოდ არიან წასულები საზღვარგარეთ.

გარდა იმისა, რომ ბავშვებს არჩევენ, კერძო სკოლებს სხვა პრობლემებიც მოაქვს – არანაირი ვალდებულებები არ აქვთ საზოგადოების წინაშე, არ არიან ვალდებული, დააკმაყოფილონ ის კონსტიტუციური უფლებები, რაც განათლებას უკავშირდება, შეთანხმებები კერძო ურთიერთობების საფუძველზე რეგულირდება. ამიტომ სკოლები, რომლებიც მოგებაზე არიან ორიენტირებული, მინიმალურს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს მოგება ჰქონდეთ. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, როცა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ვლაპარაკობთ, საჯარო სკოლებში მასწავლებლის განვითარებას უფრო ნაკლები ხელშეწყობა აქვს, ვიდრე უნდა ჰქონდეს. კარგი მასწავლებლების დიდი ნაწილი, ერთდროულად, რამდენიმე სკოლაში მუშაობს და არც ერთი სკოლის განვითარებაში არ მონაწილეობს, მუშაობს მხოლოდ საათობრივად და არც ერთი სკოლის საზოგადოების ნაწილი არ არის. კერძო სკოლების უმეტესობაში კი, მასწავლებლებს საერთოდ არ რთავენ მმართველობაში და, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება გამოუცხადონ, რომ დათხოვნილია მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოსწონთ მისი მეტყველება ან შესახედაობა. ასეც ხდება ხოლმე, მფლობელებს მშობლები კარნახობენ უაზრო ღირებულებებს, მაგალითად, მშობლებს არ მოსწონთ მათი შვილების მასწავლებელი როგორ გამოთქვამს ბგერა ლ-ს. არადა, კარგი პედაგოგია, სკოლის მფლობელი კი ფიქრობს, თუ არ გაუშვებს, შეიძლება შემოსავალი დაკარგოს. ამ მოსაზრებით უარს ამბობს კარგ მასწავლებელზე და აჰყვავს ცუდი, რომელიც კარგად გამოთქვამს ასო-ბგერა ლ-ს.

ჩვენთან ძალიან ცუდად არის განვითარებული არამომგებიანი კერძო სკოლების სისტემა და სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს არამომგებიანი კერძო სექტორის განვითარებას. უნდა განვითარდეს არა მაინცდამაინც ფინანსურ მოგებაზე, არამედ მაღალ ხარისხზე ორიენტირებული სკოლები. სამწუხაროდ, ჩვენთან ერთნაირი დამოკიდებულებაა ყველა კერძო სკოლის მიმართ. თუმცა, გაჩნდა კერძო სკოლები, რომლებსაც სოციალური პროგრამებიც აქვთ და ეს ძალიან კარგია. მაგალითად, ეკლესიებთან არსებული სკოლები, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვნად ჯობნიან ბიზნესზე ორიენტირებულ სკოლებს, საერთო საცხოვრებლები აქვთ, უფასო კვება და ა.შ. ცდილობენ, ხარისხიც ასწიონ, მაგრამ მათ სხვა პრობლემები აქვთ – ცალმხრივად ხდება განათლება. ისინი ემსახურებიან იმ ბავშვებს, რომლებიც სხვაგვარად ვერასდროს ვერ მოხვდებოდნენ კერძო სკოლაში. ცოტა არამომგებიანი სეკულარული კერძო სკოლებიც რომ გაჩნდეს, რომლებიც მაღალ ხარისხზე იქნება ორიენტირებული, ძალიან კარგი იქნება.

– როგორ უნდა მოხდეს მასწავლებლების პროფესიული ზრდა და რატომ უნდა გახდე მასწავლებელი ჩვენს ქვეყანაში?

– მასწავლებლების პროფესიული ზრდა რომ მოხდეს, მნიშვნელოვანია, პროფესიაში საუკეთესო ახალგაზრდები მოვიზიდოთ, ის ახალგაზრდები, რომლებსაც შესაძლებლობები აქვთ მაღალი და იმის ამბიცია, რომ უნდათ, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის რაღაც სიკეთე შექმნან. დღეს ამის წახალისება არ ხდება. რატომ უნდა აირჩიოს ახალგაზრდამ მასწავლებლობა, საერთოდ არსად არ ისმის ამაზე საუბარი, რომ ეს კეთილშობილური საქმეა, მედიაშიც ვერ ნახავთ, ანუ იდეოლოგიური მხარე საერთოდ არ არსებობს. სულ იმაზეა ლაპარაკი, რამდენი იქნება ხელფასი. იმისთვის, რომ ახალგაზრდას სკოლაში შესვლა მოუნდეს, მხოლოდ ხელფასი არ კმარა, ამასთან ერთად, აუცილებელია, მას თავისუფლება და მხარდაჭერა ჰქონდეს. თუ ეცოდინება, რომ გახსნის არასამთავრობო ორგანიზაციას, დაიწყებს მუშაობას, იქ უფრო დამოუკიდებელი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაში და ეს დამოუკიდებლობა მას სიამოვნებას მოუტანს, მაშინ, რა თქმა უნდა, იქ იმუშავებს და არა ისეთ პროფესიაში, როგორიც მასწავლებლობაა, სადაც სულ სხვის მიერ დაწესებული რეგულაციების განმახორციელებელი იქნება. პროფესიაში, სადაც სახელმწიფო კარნახობს, როდის უნდა ასწავლო, რა უნდა ასწავლო, როგორ უნდა ასწავლო, შემდეგ როგორ უნდა აღწერო ეს ყველაფერი, სად უნდა გააგზავნო, როგორ უნდა გააგზავნო, ვისთან უნდა მიხვიდე, რომ ტრენინგი გაიარო, რა პოზიციაზე რამდენი წელი უნდა იმუშაო, როგორ გადახვიდე ერთი პოზიციიდან მეორეზე და ა.შ. რეალურად, ყველაფერს სხვა წყვეტს, სადღაც, ძირითადად – თბილისში. ასეთ ადგილას მუშაობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. მასწავლებლად როცა დავიწყე მუშაობა, აღმოვაჩინე, რომ ისიც კი, ნიშნებს რომ პლუსი ან მინუსი დავუწერო (4+ ან 5-), შეშფოთებას იწვევს, რადგანაც სკოლის ადმინისტრაციაში ჰგონიათ, რომ ვიღაც მოვა და იმის გამო დასჯით, რომ სიკო მასწავლებელმა ვიღაცას 5+ დაუწერა, ეს კი არც ერთ რეგულაციაში არ წერია და ა. შ. იმის თავისუფლებაც კი არ აქვს მასწავლებელს, რომ თავის ბლოკნოტში ჩაწეროს რაღაცები. სამაგიეროდ, მას აქვს უამრავი შეზღუდვა და არასათანადო მხარდაჭერა. უმეტეს სკოლაში მასწავლებელს ელემენტარული სამუშაო სივრცეც კი არ აქვს, სამასწავლებლოში უნდა დაჯდეს, სადაც, მაგალითად, გაკვეთილების შემდეგ ვერ შეხვდება მოსწავლეებს, რომ დაელაპარაკოს. მათ უმეტესობას არ აქვს საკუთარი კომპიუტერი და არანაირი ისეთი პირობა, რაც ყველაზე საშუალო ბანკის კლერკსაც კი აქვს. და ჩვენ ვამბობთ, რომ განათლებაა ჩვენი პრიორიტეტი? ხშირად გამყიდველს (მაგალითად, აქვე, ჩურჩხელების მაღაზიაში) უკეთესი სამუშაო პირობები აქვს, ვიდრე ნებისმიერი საჯარო სკოლის მასწავლებელს. ამიტომ რთულია, ახალგაზრდა დააჯერო, რომ ჩურჩხელების გაყიდვა უკეთესი სამსახური არ არის.

სკოლების კულტურაც უნდა შეიცვალოს. როცა ახალგაზრდა სკოლაში შედის, არსებულ კულტურაში იწყებს სოციალიზაციას – იქ მყოფი მასწავლებლები კი ეუბნებიან, ჩვენ ასე ვაკეთებდით ყოველთვის და შენც ასე უნდა აკეთო, ინოვაციები მაინცდამაინც წახალისებული არ არის. სახელმწიფოს მხრიდანაც, ასეთ მასწავლებლებს დიდი მხარდაჭერა არ აქვთ. მაგალითად, „თავისუფალი გაკვეთილების“ დაფინანსების ნაცვლად, მასწავლებლების ახალი პროექტები რომ დაეფინანსებინათ, შეიძლება სკოლებში უცებ სრულიად სხვა ვითარება გვენახა – უამრავი ახალგაზრდა, რომელმაც იგრძნო სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რომ ცოდნა, რაც უნივერსიტეტში მიიღო, ახალი პროექტების შექმნაში სკოლის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, სკოლებში შეუერთდებოდა იმ გამოცდილი მასწავლებლების ნაწილს, რომლებიც ახალ რაღაცებს სკოლაში იმის გამო არ აკეთებენ, რომ ზედმეტად აქტიურები არ გამოჩნდნენ. ეს კოლეგებს არ მოსწონთ და აღიზიანებთ, რადგანაც აშინებთ მათი დაწინაურება. ყოფილი სტუდენტებისგან მომისმენია, როცა რაღაც იდეებზე ვიწყებთ საუბარს, გვეუბნებიან, „შენ თუ ინტრიგანი არ ხარ, რატომ გაქვს ახალი იდეები. ჯობია წყნარად იყო, იმიტომ, რომ თუკი ამ იდეებს განახორციელებ, შენ დაწინაურდები, ჩვენ კი – არა. ჯერ ჩვენ უნდა დავწინაურდეთ, რადგან გამოცდილები ვართ.“ ასეთი პრობლემებიც არის სკოლებში. საუკეთესოა, როცა წინასწარ ვხარჯავთ ენერგიას, რაც შეიძლება კარგად იყოს მომზადებული ის ხალხი, ვინც სკოლაში შედის და შემდეგ – ნაკლებ ენერგიას მათ შემოწმებაში.

ხეიძო სკოლების ასეთი განვითარება სეიიოზულ ჰიობლემებს უქმნის საჯარო სკოლების განვითარებას, იმიტომ რომ საუკეთესო რესურსები მიდიან ხეიძო სკოლებში და, ამ შემთხვევაში, ბავშვებიც უნდა განვიხილოთ, როგორც რესურსი. ეითი მოტივირებული ბავშვიც კი მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სხვა ბავშვებისთვის, რომ დაინახონ, რას შეიძლება მიაღწიონ. თუ კლასები მოტივირებული მოსწავლეებისგან იცლება, ყველა დანარჩენისთვის უფრო ძნელი და ძნელი ხდება დადებითი მაგალითების მოძიება. იგივე შეიძლება ითქვას მასწავლებლებზეც. საჯარო სკოლას, მრავალი ბარიერის გამო, უჭირს ისეთივე მაღალი კომპეტენციების მასწავლებლის პოვნა, როგორიც იყო ის, ვინც კერძო სკოლაში წავიდა.

გაგაგებარია, აი, ამ ვითარებაში რატომ არის საინტერესო, თუ რას ფიქრობს მინისტრი რომელიღაც ზღაპრის პერსონაჟზე. მისი ეს დამოკიდებულება ცვლის რამეს ამ ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდებს კრიტიკულ აზროვნებას ძირითადად ცუდად ასწავლიან, სადაც სკოლებში ბოლო ორი წელი ტესტებისთვის მომზადებაა მთავარი და არა ახალგაზრდების მოქალაქეებად ჩამოყალიბება, სადაც განათლების დაფინანსება ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და სადაც ბიუროკრატების რაოდენობა მუდმივად იზრდება, ხოლო ახალგაზრდა ნიჭიერი მასწავლებლების კი არა?!

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

პროფესიული განათლების „ჰაკათონი“ დასრულდა

დასრულდა პროფესიული განათლების პირველი „ჰაკათონი“ – ტექნოლოგიებით დაინტერესებული ადამიანების შეჯიბრი, რომელშიც 14 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლის სტუდენტური ჯგუფები მონაწილეობდნენ. „ჰაკათონი“კარგი იდეების რეალიზების, თვითგამოხატვის, ჯანსაღი კონკურენციისა და ინოვაციური პროექტების შექმნის საუკეთესო ასპარეზია.

შეჯიბრი ორ საფეხურს მოიცავდა: პირველ ეტაპზე, სტუდენტები იდეების გენერირებაზე (კრეათონი) მუშაობდნენ, მეორე ეტაპზე გადასული საუკეთესო იდეის მქონე გუნდები კი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (FabLab) ბაზაზე, თავიანთი იდეების პროტოტიპებს ქმნიდნენ. საქართველოში სამრეწველო ინოვაციების 22 ლაბორატორიიდან 14 პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე მოქმედებს. პროექტის მიზანი იყო კრეატიული აზროვნების განვითარება, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით ცნობადობის ამაღლება და სტარტაპ კომპანიების ფორმირება პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე. მის ფარგლებში, მონაწილე გუნდები საკუთარ სასწავლებლებს წარმოაჩენდნენ და, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, ცდილობდნენ საპრიზო ადგილებისა და იმ ფულადი ჯილდოების მოპოვებას, რომლებიც კერძო კომპანიებმა დააწესეს.

23 აპრილს, დასკვნით ეტაპზე გადასული 9 გუნდიდან, საუკეთესო გამოვლინდა. წარმოდგენილი იდეების პროტოტიპებიდან გამარჯვებულად დასახელდა: „სმარტ რუკა“ – გუნდი „Eternal“, კოლეჯი „სპექტრი“; „მოწყობილობა შშმ პირებისთვის“ – გუნდი „პანაცეა“, კოლეჯი „ოპიზარი“; „ღვინის ბოთლის ინოვაციური შეფუთვა“ – გუნდი „თაიგული“, კოლეჯი „მერმისი“; „სამკურნალო მცენარეების საშრობი აპარატი“ – გუნდი „ეკო“, კოლეჯი „ოპიზარი“; „იდეა – სამზარეულოს მინი- სათბური“ – გუნდი „Healthy“, კოლეჯი „ბლექსი“; „დაცვის სისტემა“ – გუნდი „Nano“, კოლეჯი „ბლექსი“.

„ჰაკათონი“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა. მისასალმებელია ამ პროცესში ახალგაზრდების მიერ დაფუძნებული კომპანიის EUHACK-ისა და კერძო სექტორის ჩართულობა. კერძო კომპანიებმა – დამსაქმებელთა ასოციაციამ, ფერმერთა ასოციაციამ, გაეროს განვითარების პროგრამამ საქართველოში, ენერგო-პრომ, თეგეტა მოტორსმა და ბილაინმა – წარმატებული გუნდებისთვის ჯილდოები დააწესეს.

ჟიურის წევრმა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა მელაძემ** აღნიშნა: „გუნდების შეფასებისას ჩემი, როგორც ბიზნესის წარმომადგენლის, მთავარი კრიტერიუმები იყო ინოვაციურობა და პერსპექტივაში მაღალი კომერციული დაინტერესება. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურადაა ჩართული პროფესიული განათლების პოპულარიზებისა და გაძლიერების მიზნით წამოწყებულ პროექტებში, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას შრომის ბაზარზე არსებული პრობლემა მოთხოვნადი კადრების დეფიციტთან დაკავშირებით.“

პროფესიული განათლების „ჰაკათონში“ გამარჯვებული პროექტი „ჭკვიანი დაფა“ კოლეჯის „სპექტრი“ სტუდენტის, **არჩილ გობეჯიშვილის** გუნდმა შექმნა. დაფა სრულ ინფორმაციას იძლევა საქართველოს რეგიონებზე, ისტორიაზე, ფლორასა და ფაუნაზე, გეოგრაფიაზე, ტურისტულ მარშრუტებსა და ღირსშესანიშნაობებზე.

დაფა სხვადასხვა ძვირფასი ხის ჯიშებისგანაა დამზადებული და დაყოფილია საქართველოს 11 რეგიონად და 68 რაიონად, ზუსტად ისე, როგორც საქართველოს რუკაზეა მოცემული. დაფასთან ადაპტირებულია აპლიკაციის დემო ვერსია, სადაც ინტეგრირებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. „ჭკვიანი დაფა“ დაინტერესებულ პირს ხმოვან რეჟიმში აწვდის აპლიკაციაში მოთხოვნილ ნებისმიერ ინფორმაციას კონკრეტულ რაიონზე.

„ვფიქრობთ, ჩვენი პროექტი მალე გახდება ცნობილი. ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ, იმავე პრინციპით ვგეგმავთ, „ჭკვიან დაფაზე“ გავაკეთოთ როგორც მსოფლიო კონტინენტების რუკები, ასევე მენდელეევის ცხრილა, ანატომია, სახალისო მათემატიკა, იგავები, ზღაპრები და სხვა საინტერესო პროგრამები. მიგვაჩნია, რომ „ჭკვიანი დაფა“ მიმზიდველი იქნება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ასევე ოჯახებისთვის და ტურისტული ცენტრებისთვის“ – განაცხადა არჩილ გობეჯიშვილმა.

ნინო ზამბახიძე, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე: *„ვფიქრობ, პროფესიული განათლების „ჰაკათონის“ ჩატარება იმ მოსაზრებითაც მნიშვნელოვანი იყო, რომ მონაწილეთა შორის ისეთი ახალგაზრდებიც გამოვლინდნენ, ვინც თავიანთი მომავალი დაუკავშირეს სოფლის მეურნეობას და შესაბამისად, ინოვაციებს სოფლის მეურნეობაში. მათ ძალიან საინტერესო, ინოვაციური იდეები წარმოადგინეს. გაეროს განვითარების პროექტის, შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და ჩვენი, ფერმერთა ასოციაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ისინი ფულადი ჯილდოთი დავასაჩუქრეთ, რომ თავიანთი მომავალი უფრო ოპტიმალურად დაგეგმონ და გახდნენ ბიზნეს ოპერატორები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ახალგაზრდები პროფესიული სასწავლებლიდან არიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ჩვენს დარგს, გარდა იმისა, რომ გაახალგაზრდავება სჭირდება, სჭირდება პროფესიულად გადამზადებული კადრები, რომლებიც შემდეგ, დარწმუნებული ვარ, პრობლემის გარეშე დასაქმდებიან. დღეს ისინი, სწავლასთან ერთად, თავიანთ ინოვაციურ იდეებსაც ავლენენ.“*

საინტერესოა იმ ახალგაზრდების მოტივაცია, რომლებმაც თავიანთი მომავალი სოფლის მეურნეობას, შესაბამისად, აგროინოვაციებს დაუკავშირეს, გადაწყვიტეს, რომ სოფლის მეურნეობა დღეს მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის.

მარიამ ცეცხლაძე, პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ სტუდენტი: *„ჩვენი იდეა იყო „მინი-სათბური სამზარეულოსთვის – ეკოსამზარეულო“. იდეა გაგვიჩნდა იმიტომ, რომ საქართველოში და, ზოგადად, გლობალურად დღეს, პრობლემას წარმოადგენს ეკოლოგიურად ჯანსაღი, შხამ-ქიმიკატების გარეშე მოყვანილი მწვანილი. ამიტომ, ჩვენ დიასახლისებს ვაძლევთ საშუალებას, ყოველ სეზონზე, კერძების მოსამზადებლად, თავიანთი ხელით მოყვანილი მწვანილი გამოიყენონ. წარმოვადგინეთ სათბურის მსგავსი რამდენიმე კონსტრუქცია, რომელიც ფანჯრის რაფაზე იდგმება და შესაძლებლობას გვაძლევს, მთელი წელი, გვქონდეს მწვანილი სამზარეულოში.*

ჩვენი ინოვაცია შეუძლია გამოიყენოს როგორც დიასახლისმა, ისე მცირე საოჯახო სასტუმრომაც, ასევე მათ, ვინც სარესტორნო ბიზნესშია ჩართული. იმედი გვაქვს, წარმატებები ექნება ამ პროექტს.“

გუნდი „Healthy“ ოთხი წევრისგან შედგებოდა. სამომავლოდ, განავითარებენ თუ არა ეს ახალგაზრდები თავიანთ გამოგონებას და უკვე, როგორც ბიზნეს იდეას, წარმოადგენენ, ამას დრო გვიჩვენებს. დღეს ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათი იდეის რეალიზაცია საქართველოში ძალიან პოპულარული გახდება. საგრანტო კომპონენტები, რომლებიც მიკრო და მცირე მეწარმეობაში, ასევე, ახალგაზრდა ფერმერებისთვის იგეგმება, ალბათ დაეხმარებათ სამომავლო გეგმების განხორციელებაში.

მარიამ ცეცხლაძე, კოლეჯის პარალელურად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლობს. ამიტომ მიაჩნია, რომ ერთგვარი ვალდებულება აქვს, თქვას საკუთარი სიტყვა სოფლის მეურნეობაში. სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში აპირებს, შემდეგ – დოქტორანტურაში. *„დღეს, ჩვენს სამშობლოს ძალიან აკლია აგრარული სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლები. ვფიქრობ, ჩამოვყალიბდები, როგორც ამ დარგის ერთ-ერთი ძლიერი პროფესიონალი.“* – აცხადებს მარიამი.

მეორე მარიამი – საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ სტუდენტი **მარიამ ზედგინიძე** ახალციხიდანაა. მისი გუნდი „ეკო“ სამ წევრს აერთიანებდა, მათი ბიზნეს იდეა იყო „სამკურნალო მცენარეების საშრობი აპარატი“. *„გვინდოდა შეგვექმნა მოსახლეობისთვის იოლად მოსახმარი ხელსაწყო, რომელიც იაფიც იქნებოდა და თან ისეთ პროდუქციას მიიღებდნენ, რომელიც ყველასთვის იოლი გამოსაყენებელი იქნებოდა. დღეს დიდია ინტერესი სამკურნალო მცენარეების მიმართ როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში, ამიტომ ვიფიქრეთ, არ იქნებოდა ურიგო პრაქტიკული და ადვილად გამოსაყენებელი დანადგარის შექმნა.*

ჩვენი აპარატის გამოყენება შეიძლება როგორც სახლის პირობებში, ასევე კერძო აფთიაქებში, კარგი იქნება სასწავლო დანადგარად იმ პროფესიულ კოლეჯებში შეტანა, სადაც ისწავლება სოფლის მეურნეობის ეს დარგი – სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი. სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარდებათ.“

მსოფლიოში, რა თქმა უნდა, მსგავსი აპარატები არსებობს, უფრო დიდი მასშტაბის, საქართველოს რეალობისთვის კი ეს მართლა ინოვაციაა. კარგი იქნება, თუ ავტორები შეძლებენ ამ აპარატის საწარმოო ციკლში ჩაშვებას, უფრო და უფრო მეტი ადამიანის დაინტერესებას და ბიზნეს ოპერატორებად მუშაობას.

„პირველ წარმატებას ჩვენ უკვე მივაღწიეთ, თუ მომავალში მოგვეცემა იმის საშუალება, რომ განვავითაროთ და პოპულარიზაცია გავუწიოთ ამ დანადგარს, ვფიქრობ ძალიან სასარგებლო გახდება როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე საფთიაქო ქსელებში. ჩვენი აპარატი შეიძლება დაიხვეწოს, გრადუსებში ცვლილება შევიტანოთ და ჩაის ან კენკროვნების გასაშრობადაც გამოვიყენოთ.“ – ამბობს მარიამი.

მართლაც ინოვაციური მიდგომა იყო, მარკეტინგის კუთხით, გუნდის „თაიგული“ მიერ წარმოდგენილი „ღვინის ბოთლის ინოვაციური შეფუთვა“, რომელიც, ღვინის ბოთლთან ერთად, მომხმარებელს სანელებლებსაც სთავაზობს. ყუთზე დატანილი შტრიხ-კოდის დახმარებით, შეთავაზებულ პროდუქტებზე სრული ინფორმაციის მიღება შეიძლება.

„ჩვენი იდეა უფრო მარკეტინგული გათვლის იყო. საქართველოში ძალიან ბევრი კარგი ხარისხის ოჯახური ღვინოა, რომელიც ვერ უწევს სათანადო კონკურენციას დიდ საწარმოებს, – ამბობს **ბექა დათაშვილი**, საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ სტუდენტი – *„გვინდოდა, ოჯახური მცირე ბიზნესის ღვინო ბაზარზე უფრო მოთხოვნადი გაგვეხადა. ვცდილობთ, ამას ქართული სანელებლების დახმარებით მივაღწიოთ, რომლებიც ევროპაში არ არის, ამდენად უფრო მოთხოვნადი და საინტერესოა.*

საქართველოში ჩამოსული ტურისტები ჩვენს ღვინოს თუ იყიდიან, რომელიც უნიკალური და ძალიან გემრიელია, ყუთზე დატანილი კოდის დახმარებით, ტელეფონით ამ ლინკს შეიყვანენ, ავტომატურად, ვიდეოგაკვეთილი ჩაირთვება, რომელიც უჩვენებს, როგორ მზადდება ამ ღვინით ერთ-ერთი ტრადიციული ქართული კერძი, რა თქმა უნდა, ქართული სანელებლების დახმარებით და ამ ღვინოსთან ერთად მიირთმევა.

ვფიქრობთ იდეის შემდგომ დახვეწასა და განვითარებაზე, უფრო მაღალტექნოლოგიურ რაღაცებს მოვიფიქრებთ, სხვადასხვა ღონისძიებებს ჩავრთავთ, რომ ოჯახური ღვინო უფრო მოთხოვნადი გახდეს ბაზარზე.“

ნინო ზამბახიძე: *„ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აქვს მომავალი, იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები პროფესიულ სასწავლებლებში სწავლობენ, ბიზნეს ინოვაციური იდეებით არიან აღსავსე და ფიქრობენ, რომ თავიანთ მომავალს, სოფლის მეურნეობას დაუკავშირებენ და ამ კუთხით, ჩვენს ქვეყანას განავითარებენ.“*

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

ინფორმაცია

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეული საგნის მაქსიმალური/მინიმალური გამსვლელი ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

საგანი/გამოცდა	მაქსიმალური ქულა	მინიმალური	გამსვლელი ქულა
ქართული ენა და ლიტერატურა	80	21	4 საათი და 15 წუთი
ზოგადი უნარები	80	24	ვერბალური ნაწილი 1 საათი და 35 წუთი
			მათემატიკური ნაწილი 1 საათი და 35 წუთი
უცხოური ენები	90	19	2 საათი და 40 წუთი
ლიტერატურა	80	21	4 საათი და 15 წუთი
მათემატიკა	59	15	3 საათი და 40 წუთი
ისტორია	70	18	3 საათი და 40 წუთი
გეოგრაფია	59	15	2 საათი და 40 წუთი
ბიოლოგია	70	18	2 საათი და 30 წუთი
ქიმია	75	19	3 საათი და 40 წუთი
ფიზიკა	75	19	3 საათი და 40 წუთი
სტუდენტთა საგრანტო კონკურსი	42	-	2 საათი და 35 წუთი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	70	18	3 საათი
სამოქალაქო განათლება	60	16	3 საათი და 10 წუთი
აფხაზური ენა	80	21	4 საათი და 15 წუთი

შენიშვნა: *აბიტურიენტთა გამოვლენა, რომელთაც კონკურსში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების გათანაბრების შემდეგ მოხდება. ამის გათვალისწინებით, კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ის აბიტურიენტებიც, რომელთაც გამსვლელი „ნედლი“ ქულა ვერ მიიღეს, მაგრამ მათი გათანაბრებული ქულა მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე მეტი აღმოჩნდა (იხ. ინფორმაცია გათანაბრების შესახებ ცენტრის ვებგვერდზე).*

მათემატიკური კონკურსი „იმედი ხვალის 2017“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან ერთად, ატარებს მათემატიკურ კონკურსს – „იმედი ხვალის-2017“

კონკურსის მიზანი: განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული გავშვების გამოვლენა ადრეულ ასაკში.

მონაწილეები: თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების III-VI კლასების მოსწავლეები.

კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებით, პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

ჩატარების წესები:

- მონაწილეები ორ ასაკობრივ ჯგუფად იყოფიან: „უფროსი ასაკი“ – V და VI კლასები, „უმცროსი ასაკი“ – III და IV კლასები;
- შეჯიბრება ტარდება ორ ტურად. მეორე ტურში მონაწილეობენ პირველ ტურში გამარჯვებულები;
- ორივე ტურში მონაწილეს ეძლევა 5 ამოცანა და დრო 2 საათი;
- ამოცანებისა და ამოხსნების შეფასების ნიმუშებად გამოდგება მზიურის მათემატიკური ინტერნეტშეჯიბრისა და კონკურსის „იმედი ხვალის“ ამოცანები. ინტერნეტშეჯიბრისა და კონკურსის ვებმისამართებია:

http//conkurs.mziuri.ge და http//imedi.mziuri.ge

ინტერნეტშეჯიბრი კონკურსისათვის მოსამზადებელი ერთგვარი „დაუსწრებელი სკოლაა“, 2006 წლიდან ტარდება და მის ვებგვერდზე მუდმივად ჩანს უკანასკნელი გავლილი 8-12 ტურის ანგარიში (მონაწილეთა შედეგები და ამოცანები ამოხსნებით).

ჩატარების თარიღი: პირველი ტური – 4 ივნისი. მეორე ტურისა და დაჯილდოების ცერემონიის თარიღებს გაცნობებთ პირველი ტურის შემდეგ.

რეგისტრაციის ვადა: რეგისტრაცია დაწყებულია და მთავრდება 3 ივნისის 15 საათზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია რეგისტრაცია. რეგისტრაციისას მონაწილეები დააზუსტებენ ჩატარების ადგილსა და დროს.

რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად – სკოლების მიერ თანდართული ფორმის მიხედვით (ფურცელზე ან ელექტრონულად).

სასურველია სკოლებში გამოიყოს საკონტაქტო პიროვნება კონკურსის ორგანიზატორებთან კოორდინაციისათვის.

რეგისტრაციისა და დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვირეკეთ ან მოგვმართეთ მისამართზე:
თბილისი, თამარ მეფის გამზირი 14, მესამე სართული.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების ახალი მოდელი

პირველად პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების ახალი მოდელი ამოქმედდება, რომელიც ამ სფეროში შვეიცარიის საუკეთესო გამოცდილებას ეყრდნობა და პროფესიული განათლების მასწავლებლების სპეციალობის მისაღებად, დამატებითი საუნივერსიტეტო პროგრამების, ანუ მაინორების შემოღებას ითვალისწინებს. პირველი მაინორები სოფლის მეურნეობის დარგის მასწავლებლებისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგება. შემდგომში ეს გამოცდილება შეიძლება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებზეც გავრცელდეს.

ქეთევან ნატრიაშვილი, *განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: „ევროკავშირის მხარდაჭერით, პროფესიულ განათლებაში წარმატებით მიმდინარეობს რეფორმა. ამ კუთხით უკვე არაერთი ნაბიჯი გადაიდგა – დამსაქმებლების ჩართულობით მიმდინარეობს პროგრამების შემდგომი გადამუშავება. ინერგება თანამედროვე მიდგომები, მათ შორის, ინტენსიურად ვმუშაობთ სისტემაში დუალური განათლების მიდგომის დანერგვაზე. ამ ყველაფრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპონენტი. პროფესიული განათლების სისტემაში, აუცილებელია, გვყავდეს კვალიფიციური, კარგად მომზადებული მასწავლებელი, რომელიც იმუშავებს ახალგაზრდებთან და მათ შემდგომი დასაქმებისა და შრომის ბაზრისათვის მოამზადებს. ამ კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტები იყვნენ ჩართული ამ პროცესში და უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდა კადრების შემოდინება სისტემაში.*

დღეს გავეცანით ახალმომზადებულ პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში კვალიფიციური კადრების მომზადებას სხვადასხვა პროფილით. დასაწყისისთვის, აქცენტს ვაკეთებთ სოფლის მეურნეობის მიმართულებაზე და ჩაშვებული იქნება მაინორ პროგრამა, რომელიც მოამზადებს დაინტერესებულ ახალგაზრდებს პროფესიული განათლების მასწავლებლებად და ექსტენციის სპეციალისტად. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი კომპონენტი პროფესიული განათლების განვითარებისათვის და, ვფიქრობ, საკმაოდ ნოვატორული ნაბიჯი, რომელიც პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება.“

ნინო დობორჯგინიძე, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი: „ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებს ეძლევათ შანსი, მათ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩააშენონ პროფესიული სტანდარტის შესაბამისი მაინორ პროგრამები. ამავდროულად, ამ პროგრამების ფარგლებში, პირველად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, შეიძინონ დამატებითი სპეციალობა და შანსი – ასწავლონ პროფესიულ სასწავლებლებში.“*

ინტერვიუ

ბიბლიოთეკა, როგორც მომავალი ინოვაციების წყარო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არაერთი საინტერესო სიახლის ინიციატორია. ახალი პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, გამოფენები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები ეროვნულ ბიბლიოთეკაში დიდი ხანია, ტრადიციად იქცა. საჯარო ბიბლიოთეკა ყველა ქვეყანაში ყველაზე დემოკრატიული ადგილია.

აქ ყველას უფასოდ და განურჩევლად ემსახურებიან, დღევანდელ დღეს უკვე – არა მხოლოდ წიგნებით.

სტატისტიკის მიხედვით, ამერიკელებს ბიბლიოთეკები უფრო უყვართ, ვიდრე რესტორანი ან მაკდონალდსი. რატომ ხდება ასე? – გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი, მაია სიმონიშვილი.

– ბიბლიოთეკა ყველა ქვეყანაში ყველაზე დემოკრატიული ადგილია, ის ერთნაირად ემსახურება ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნებისა, რასისა, სქესისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა. ეს ყველა ქვეყნის საჯარო ბიბლიოთეკის კონცეფციაში დევს. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ენდრიუ კარნეგიმ, ერთ-ერთმა პირველმა ბიზნესმენმა, სწორედ ასეთი ბიბლიოთეკები გახსნა. მან იმავე მეთოდებით დაიწყო გამდიდრება, რასაც პოსტ-საბჭოთა საქართველოში ვხედავდით, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ ღარიბი ბიჭი ბიბლიოთეკაში დადიოდა და მომავალზე ფიქრი იქ დაიწყო. სწორედ ამიტომ გახსნა ამერიკაში ორასზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკა, საკუთარი დაფინანსებით. ასე დაიწყო საჯარო ბიბლიოთეკების გავრცელება. ეს არის მაგალითი, თუ როგორ არის აწყობილი ამერიკული ბიზნესი: შენ საზოგადოებას აძლევ, რაც ცხოვრების გასაუმჯობესებლად სჭირდება, საზოგადოება კი სიმდიდრით გასაჩუქრებს. შემდეგ ისევ ამ სიმდიდრეს უნაწილებ, რისი საშუალებითაც სხვა ადამიანებიც კეთილდღეობის შექმნას სწავლობენ.

ბიბლიოთეკაში მუშაობა მოსალოდნელზე დინამიურია. ჩვენი ბიბლიოთეკა ყველასთვის უფასოა, შესაბამისად, მომხმარებელიც მეტია. იცით, რომ სამკითხველო დარბაზებთან ერთად, რომლებიც ყოველთვის სავსეა, კულტურულ პროგრამებსაც ვახორციელებთ. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების განყოფილებაში გვქონია შემთხვევა, როდესაც ამ ერთ შენობაში, დღეში, 13 ღონისძიება ჩატარებულა. გრაფიკი ხშირად 6 თვით ადრეა შედგენილი, ამ მხრივ, ჩვენი ბიბლიოთეკა დასავლეთ ევროპის ორგანიზაციებსაც მოგვაგონებს.

ჩვენ ვიცით, რომ რაიონებში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბიბლიოთეკები დაიხურა. ეს არ მომხდარა მხოლოდ საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც ასე მოხდა, რაც ინტერნეტიზაციის პირველმა ბუმმა გამოიწვია. დღეისთვის აღმოჩნდა, რომ ინტერნეტმა ბიბლიოთეკები ვერ შეცვალა. პირიქით, ბიბლიოთეკებმა აიღეს სხვა ფუნქციები – საინფორმაციო, კულტურული, გასართობი. ამავე დროს, ეროვნული ბიბლიოთეკა იცავს ეროვნულ საგანძურს, ყველა წიგნს, რომელიც საქართველოში იბეჭდება. შარშან, გენერალური დირექტორის, გიორგი კეკელიძისა და საქართველოს პარლამენტის ხელშეწყობით, დამტკიცდა კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ. ეროვნული ბიბლიოთეკა, წიგნთან ერთად, მკითხველებს სხვა სერვისებსაც სთავაზობს. მაგალითად, ბიბლიოთეკები ადამიანებს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ეხმარებიან მაშინ, როდესაც მათ ამის სხვა რესურსები არ აქვთ.

– რას გვეტყვით კონკრეტულად თქვენი დარბაზის – მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული დარბაზის შესახებ?

– სამ წელზე მეტია, მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზისთვის ვმუშაობ. ჩემი მიზანი იყო, რომ ეს არა მხოლოდ სამკითხველო დარბაზი, არამედ სხვა მხრივაც საინტერესო ადგილი ყოფილიყო. თქვენ იცით, რომ ადამიანი სამსახურში ყველაზე დიდ დროს ატარებს, პირადი ცხოვრება მნიშვნელოვანია, მაგრამ ფხიზელი ცხოვრების უმეტეს ნაწილს საქმეს ვუთმობთ. ერთი რამ მინდა აღვნიშნო, თითქმის ყველა წიგნი, რაც ჩვენს დარბაზშია, სმითსონიანის ინსტიტუტის აზიის პროგრამების დირექტორის, ანთროპოლოგის, პროფესორ პოლ მაიკლ ტეილორის შემოწირულობაა. ეს არის ამერიკის უდიდესი კულტურული ორგანიზაცია, რომელიც მრავალ მუზეუმსა და ბიბლიოთეკას აერთიანებს. ბატონი პოლი პირადი ხარჯით გვიგზავნის ამ წიგნებს. ამავე დროს, პირველი პროექტი, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში განვახორციელე, პულიცერის კუთხეს უკავშირდება. ამერიკის საელჩომ და ბატონმა რიჩარდ ნორლანდმა პულიცერის პრემიის მფლობელი 100 ავტორის წიგნი გადმოგვცა. პულიცერის დიდი კოლექცია ძალიან ცოტა ბიბლიოთეკას აქვს. უკვე მეორე კონტრაქტი დავდეთ ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, რაც მომავალი ინფორმაციის სპეციალისტებისა და ბიბლიოთეკარებისთვის თანამედროვე პროფესიული ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემას ითვალისწინებს. მაგრამ დღევანდელი ბიბლიოთეკა არ არის მხოლოდ წიგნი, ეს ციფრული ბაზაცაა.

– რამდენად მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკაში ციფრული ბაზების არსებობა, რის შესაძლებლობას იძლევა ციფრულ ფორმატში გადაყვანილი მასალები და ვისთვის არის ხელმისაწვდომი ელექტრონული ბიბლიოთეკა?

– ჩვენ კი ვამბობთ, რომ საბჭოთა პერიოდში ყველა კარგ განათლებას ვიღებდით, მაგრამ ბევრი პრობლემაც იყო. დიახ, სკოლა იძლეოდა ელემენტარული განათლების საშუალებას. იმ პერიოდში ერთადერთი ბავშვი ვნახე, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა. დღეს ასეთი ბავშვების რაოდენობა მოსალოდნელზე მაღალია, მაგრამ ეს იმის შედეგიცაა, რომ საბჭოთა კავშირის სკოლებმა არ მოგვცა ყველაზე მთავარი ცოდნა – ყველა ადამიანს აქვს უფლება, იყოს ჯანმრთელი, განათლებული და ბედნიერი. ტექსტებს კი გვასწავლიდნენ, მაგრამ ამის გაცნობიერებას, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ აუცილებლობად გააზრებას ის სისტემა ვერ ახერხებდა. შეიძლება, ვინმემ იკითხოს, რატომ მანაღვლებს? ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენ ამ ბავშვებმა უნდა შეგვიქმნან გარემო, რომელშიც, უკვე პენსიონერებმაც, უსაფრთხოდ ვიცხოვროთ. თუ მათ საკუთარ თავზე არ იგრძნეს სახელმწიფოს ზრუნვა, არც ჩვენ გვექნება უფლება, რაიმე მოვთხოვოთ, ეს კი უკვე უსაფრთხოების საკითხს უკავშირდება, არა მხოლოდ განათლებას. რაც ვთქვი, თითქოს ეგოისტურად ჟღერს, მაგრამ ბევრად სცილდება შვილის წყლის მომწოდებლად გაზრდას. „წყალს უნდა აწოდებდეს“ საზოგადოება, ნებისმიერი ადამიანი, ისეთი გარემო უნდა ვუანდერძოთ ბავშვებს, რომ მათ თავიანთ ქვეყანაში გაზრდა-დაბერების არ ეშინოდეთ.

მთელი საუკუნის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში, ვაკუუმი იყო დასავლეთში მიმდინარე განვითარების პროცესის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპაში, მე-17 საუკუნეში, 1700 პროფესია არსებობდა, დღეს კი, მთელ მსოფლიოში, 500 000-მდე პროფესია არსებობს. წარმოიდგინეთ, რამდენი მათგანია ჩვენთან ათვისებული?! ელექტრონული ბაზები სწორედ მთელ ამ პროცესს გვაცნობს, თუ როგორ ვითარდებოდა ევროპა საუკუნის განმავლობაში და როგორ შეგვიძლია ეს ყველაფერი ავითვისოთ. ამჯერად, ცოდნის გაღრმავებას ვიზალიბერალიზაციაც (ევროპული ინსტიტუტების, მუზეუმებისა და სხვა კულტურული ორგანიზაციების ნახვაც) შეუწყობს ხელს.

– როგორ ახერხებთ ციფრული რესურსების მოძიებას, ამ ეტაპზე რამდენი ელექტრონული ბაზაა ჩართული და რა პერიოდულობით?

– უნდა აღვნიშნო, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოქმედებს ქართული დიგიტალური ბიბლიოთეკა „ივერიელი“, რომლის დახმარებითაც ისტორიული ფოტოსა და ტექსტის მონაცემთა ბაზას გაეცნობით და რომელიც უკვე საკმაოდ პოპულარულია.

რაც შეეხება ინგლისურენოვან ბაზებს, მე თვითონ ვარჩევდი, რადგან აშკარად ვგრძნობდი ამ მასალების დეფიციტს და აუცილებლობას ჩვენი მკითხველებისთვის. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინ, მოვიდა მკითხველი, რომელსაც სადოქტორო ნაშრომისთვის ერთ-ერთი ჟურნალიდან მხოლოდ ორი გვერდი სჭირდებოდა. ამ ჟურნალზე ბიბლიოთეკებს უფასო წვდომა არ აქვთ, რის გამოც უთხრეს, რომ მხოლოდ ორი გვერდის დასასკანირებლად დიდ ბრიტანეთთან დაკავშირება დასჭირდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენ მიერ გახსნილ ბაზებში ეს ჟურნალი ვიპოვეთ და პრობლემაც გადაიჭრა.

რამდენჯერმე მქონდა შესაძლებლობა, უშუალოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გავცნობოდი ბიბლიოთეკებს და კარგად ვიცნობ მათი მუშაობის პრინციპს. რაც უფრო მეტს ეცნობი, უფრო მეტი ინფორმაცია ამოდის. ვუკავშირდები ამ ბაზების ავტორებს, ვუამბობ, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და უკვე 300-მდე ელექტრონული ბაზა ჩავრთეთ. თუმცა, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს ბაზები ძალიან ძვირი ღირს, თითოეული მათგანი, სულ მცირე, წელიწადში 5000 დოლარი ჯდება. ჩვენ არ გვყავს სპონსორი და ამის გამო, იძულებულები ვართ, მხოლოდ ერთი-ორი თვით ჩავურთოთ მკითხველებს. თუმცა, ეს არა მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველებს, არამედ პროფესიულ ორგანიზაციებსაც აძლევს საშუალებას, გაიგონ, რომ ეს რესურსები არსებობს და, სურვილის შემთხვევაში, თავიანთი კადრებისთვის გამოინერონ.

მაგალითად, ჩართული გვქონდა იელის უნივერსიტეტის ბაზა, ეს არის სტალინის მთელი არქივი, უცნობი მასალებით. მათთვის, ვინც საბჭოთა პერიოდს და რეპრესიების პროცესს იკვლევს, ყველა ასეთი დეტალი საინტერესოა. სულ ცოტა ხნის წინ, გვქონდა საერთაშორისო ციფრული ბიბლიოთეკის Adam Matthew Digital ბაზები მიგრაციის შესახებ. მკითხველებს გავაცანით უახლესი ბაზა – „სოციალიზმი კინოფირზე: ცივი ომი და საერთაშორისო პროპაგანდა“. სულ ორი თვეა, რაც ეს ბაზა ამოქმედდა და უნიკალურ დოკუმენტურ ფილმებს, ახალი ამბების ჩანაწერებს მოიცავს. მათი ავტორები არიან საბჭოთა, ჩინელი, ვიეტნამელი, აღმოსავლეთ ევროპელი, ბრიტანელი და სამხრეთ ამერიკელი რეჟისორები. „სოციალიზმი ფილმებში“ XX საუკუნის დასაწყისიდან 1980-იანი წლების დასასრულამდე, თითქმის, ყველა ისტორიულ ვიდეოჩანაწერს მოიცავს და კარგად წარმოგვიდგენს იმ პერიოდის აზროვნებას, ომებსა და რევოლუციებს, მედიისა და ტელევიზიების მუშაობას, კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, გვაცნობს არა მხოლოდ ლიტერატურას, არამედ ფილმებს, კვლევებს, ინტერვიუებს, თამაშებს. ამ მასალების გამოყენება სასწავლო პროცესსაც საინტერესოს და უფრო სახალისოს ხდის.

ახლა ჩართული გვაქვს INFOBASE საგანმანათლებლო ონლაინ რესურსები მკითხველებისთვის, რომელშიც გაერთიანებულია: თანამედროვე მსოფლიოს ისტორია, მსოფლიოს გეოგრაფია და კულტურა, ამერიკის ისტორია, ბლუმის ლიტერატურა (ვიდეომასალები ლიტერატურის შესახებ), მსოფლიოს ახალი ამბები, თანამედროვე მეცნიერება, მსოფლიო რელიგიები, ელექტრონული სასწავლო ბიბლიოთეკა, ვიდეოკოლექციები საერთაშორისო ბაზრისთვის. ეს არის პაკეტები, რომლებიც მთელ მსოფლიოში საშუალო სკოლებს შეკვეთებით მიეწოდებათ, გაკვეთილების თემატურად მოსამზადებლად და მოსწავლეების დასაინტერესებლად.

ახლა ორი თვით ჩავრთეთ ცნობილი ბრიტანული გამომცემლობის „Bloomsbury Publishing“ ციფრული ბაზა, „პოპმუსიკის ციფრული ბიბლიოთეკა“, სადაც მუსიკის მოყვარულები გაეცნობიან მსოფლიოს პოპულარული მუსიკის ისტორიას არა მხოლოდ ალბომებით, არამედ სამეცნიერო კვლევებით, რუკებით და ა.შ.

ყველას ჰგონია, როცა „უფასოდ ხელმისაწვდომი“ წერია, ეს მართლა უფასო ბაზებია. სინამდვილეში, განვითარებულ ქვეყნებში, პროდუქტების მწარმოებლებს კარგად ესმით, რომ ყველას არ აქვს სარგებლობის საშუალება. ამ ბაზებს სპონსორები, მათ ქვეყნებში, ჩვენთვისაც აფინანსებენ, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პერიოდით. ბაზების საინფორმაციო სამსახური ამოწმებს, კვირაში რამდენი ადამიანი სარგებლობს ამ რესურსებით. ამიტომაც, ყოფილა შემთხვევები, რომ მეორედ საჩუქრად ჩაურთავთ. ჩემთვის ძალიან სასიხარულო მოვლენა იყო, რომ უზარმაზარი დაინტერესება მოჰყვა ამერიკის ფსიქოლოგიის ასოციაციის ბაზებს. მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ რესურსების გვერდი გადაიტვირთა. ეს ბაზა უკვე მეორედ ჩაგვირთეს, სწორედ იმიტომ, რომ პირველ ჯერზე მკითხველების უდიდესი მოთხოვნა დაფიქსირდა. იგივე უნდა ითქვას „Bloomsbury Publishing“-ის შესახებაც, რომელმაც საჩუქრად ჩაგვირთო უახლესი, ყველაზე თანამედროვე, სამეცნიერო კვლევების ციფრული ბაზა.

– ნიუ-იორკში, ქართველი ემიგრანტებისთვის, თქვენი ინიციატივით, გაიხსნა ქართული წიგნის კუთხე. გვიამბეთ ამის შესახებ და სამომავლოდ, სხვა ქვეყანაშიც ხომ არ გეგმავთ ქართული ბიბლიოთეკის გახსნას?

– ეროვნული ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს „ეკვილიბრიუმი“. ბატონი გიორგი კეკელიძის ინიციატივით, წიგნების ფონდი განახლდა 700-ზე მეტ ბიბლიოთეკაში. მთავრობისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის დახმარებით, ხორციელდება ამ ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ ეს ბიბლიოთეკები რეგიონებში ახალგაზრდობის საინფორმაციო ცენტრებად გარდაიქმნას.

საფრანგეთში, არათუ სამკითხველო დარბაზები, მეტროს რამდენიმე სადგურიც კი კულტურულ ცენტრებად გარდაქმნეს, სადაც ადამიანს გართობა, დასვენება, განათლების მიღებაც შეუძლია.

ამავე დროს, ჩვენ გვაქვს პროექტი „ქართული ბიბლიოთეკები საზღვარგარეთ“. მის ფარგლებში, ემიგრანტებისა და მათი შვილებისთვის, 30-მდე ქვეყნის ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში, ქართული წიგნის კუთხეები შეიქმნა. საბავშვო ლიტერატურასაც ვაგზავნით, რაც ემიგრანტების შვილებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ნიუ-იორკიდან დამიკავშირდა ქალბატონი მანანა ხერგიანი, რომ ქვინსის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნების კუთხის

ინტერვიუ

გახსნის სურვილი გამოთქვეს. გაირკვა, რომ მოსახლეობის აღწერის შესწავლის შედეგად, ყველაზე მეტი ქართველი ქვინსის რეგიონში ცხოვრობდა. ამიტომაც, მოთხოვნა მოვიდა, რომ გაგვეგზავნა 100 ქართული წიგნი, 20-მდე ქართული ფილმი და მუსიკალური დისკები. ასეც მოვიქეცით. ეს ძალზე საინტერესო პროცესი იყო, რამდენადაც ჩვენი დარბაზიდან ვგეგმავდით ნიუ-იორკში კუთხის გახსნას, პრესით გაშუქებას, საზეიმო ცერემონიალს და ფურშეტსაც კი. დახმარებისთვის დიდი მადლობა ქვინსის ბიბლიოთეკის წარმომადგენელს, ფრედ გიტნერს, მუსიკოს კარლ ლინიჩს, „ამერიკის ხმის“ წარმომადგენლებს – ნანა საჯაიასა და თეა თუაშვილს, ჟურნალისტ ია მერკვილაძეს, აქტიური თანამშრომლობისთვის.

შარშან, იტალიის რესპუბლიკის საელჩოს და პირადად ბატონი ელჩის, ანტონიო ბარტოლის მხარდაჭერით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი, იტალიური სამკითხველო დარბაზი გაიხსნა, რომელშიც 5000 უახლესი წიგნია იტალიური ენის მოყვარულებისთვის. ამჟამად, ვგეგმავთ ქართული ვირტუალური კუთხის მოწყობას დიდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე გვინდა ავსტრალიაშიც გავხსნათ, მაგრამ ჯერ ვეძებთ, რომელ ქალაქშია უფრო მეტი შესაძლებლობა.

დავიწყეთ ინგლისური ენის საღამოები მკითხველებისთვის. ამერიკელი პედაგოგი, ბატონი ჯედ გურლი, ყოველ კვირა დღეს, მკითხველებს უფასო ინგლისურის გაკვეთილს ჩაუტარებს. ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით, ვატარებთ „ამერიკული ფილმის ჩვენების“ სერიას, საელჩოს წარმომადგენელი, ქალბატონი მოლი რიძინსკი მკითხველებს უახლეს ფილმებს წარუდგენს, რასაც ჩვენების შემდეგ, მკითხველების სურვილის მიხედვით, საუბარიც მოჰყვება.

გერმანულენოვანი ბიბლიოთეკის გამდიდრებაში ძალზე დაგვეხმარა საქართველოს გერმანელი მეგობარი, ბატონი მათიას იუნგერი, რომელმაც უკვე 10 ყუთი უახლესი წიგნები გამოგვივგზავნა. ახლო მომავალში, ავსტრიიდან ველოდებით ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, მიხაელ რორვასერის დიდ საჩუქარსაც.

– რას ურჩევთ მომავალ პროფესიონალებს?

– მომავალ და დღევანდელ სტუდენტებს ვურჩევდი, ყურადღებით აირჩიონ მომავალი საქმიანობა. მათმა არჩევანმა მათი ყოველდღიური ცხოვრება უნდა განსაზღვროს და არა მხოლოდ ერთჯერადი წარმატებით გამოწვეული სიხარული. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესია, თუნდაც, დღეს ნაკლებად პრესტიჟული, მაგრამ მასში ხელფასის გარდა, სხვა რამეც უნდა გაინტერესებდეთ. თქვენ თვითონაც უნდა გინდოდეთ, რომ ყოველთვის მოიძიოთ განვითარების შესაძლებლობა და თქვენი საქმიანობა არა მხოლოდ თქვენთვის, სხვებისთვისაც საინტერესოდ აქციოთ.

ესაუბრა მაკა ყიფშიანი

ცეროდენა კალმოსანი

ეს საოცარი ცეროდენები

რამდენიმე წელია, რაც მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მუშაობს კლუბური გაერთიანება „ცეროდენა კალმოსანი“. მასში ძირითადად გაერთიანებული არიან უმცროსკლასელები (მე-3, მე-4, მე-5 კლასების მოსწავლეები).

„მოზარდის ყველა ასაკი, თავისთავად, საინტერესო და საყურადღებოა – ამბობს კლუბის ხელმძღვანელი პოეტი გული სალუქვაძე, – მაგრამ, ვფიქრობ, ეს პერიოდი განსაკუთრებულია. ეს ის ხანაა, როცა პატარები უკვე შეეგუენ სასკოლო ცხოვრებას და ახლა უჩნდებათ სურვილი, უფრო „დიდ საქმეებს“ შეეჭიდონ. ამ დროს უსაზღვროა მათი ფანტაზია, ფართოვდება თვალსაწიერი. ჩნდება ცხოველი ინტერესი აღმოჩენისადმი, გამოგონებისადმი. „ცეროდენა კალმოსნები“ იწყებენ ლექსების, მოთხრობების, ზღაპრების თხზვას და ეს უმეტესობას კარგად გამოსდის, ეჩვევიან მხატვრულ აზროვნებას, რაც გადადებს შემოქმედებით სიხარულს. ჯანსაღი შემოქმედებითი სიხარულის განცდა კი, საიმედო საძირკველია მოზარდის შემდგომი განვითარებისთვის.“

წელს, მაისში, სასახლე საიუბილეო თარიღს – 75-ე წლისთავს აღნიშნავს. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა „ცეროდენა კალმოსანთა“ ალმანახი – „სტუდიელები – 3“.

გთავაზობთ „ცეროდენათა“ ახალ ნაწარმოებებს.

მე შემრცხვა

უცბად ტელეფონის ხმა გაისმა. დედამ ყურმილი აიღო და თქვა: – მართლა? ახლავე, ახლავე!

ყურმილის დადება იყო, რომ დედა წასასვლელად მოემზადა და დამიბარა – აბა, შენ იცი ჩემო ჭკუისკოლოფავ!

მე მივუჯექი მაგიდას, ვმეცადინეობდი, მაგრამ უცბად თვალი მივაპყარი ტელევიზორს – „ეშმაკის ხათაბალას“. მივანებე სწავლას თავი, ჩავრთე „სულელი ყუთი“ და პულტით ხელში ვნებივრობდი მულტფილმებით. მულტფილმი დედაზე იყო. მე დიდი გულისყურით ვუყურებდი ფილმს და ის იყო დედისთვის მიცემული პირობა მომაგონდა, რომ უცბად კარის ჭრიალი გაისმა. დედა ოთახში ღიმილით შემოვიდა. იგი პირდაპირ ჩემი მაგიდისაკენ გამოემართა, იქაურობა მოათვალიერა, როცა მიხვდა, რომ მისთვის მიცემული პირობა დავარღვიე სახე გადაუსხვაფერდა, თვალზე ცრემლი მოადგა და ოთახიდან გავიდა.

მე შემრცხვა.

ნინო კოჭლამაზაშვილი
IV კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – გული სალუქვაძე

„აი, ია“

გაზაფხულზე იაკობ გოგებაშვილი აბასთუმანში ისვენებდა. ერთხელ, დილით, გასეირნება გადაწყვიტა და იებით აყვავებულ მდელოზე გავიდა. წინ პატარა გოგონა შეეფეთა იებით ხელში. – ძია, აი ია – თქვა გოგონამ და იები მიაწოდა. იაკობი გოგონას მოეფერა და სახლში მიიპატიჟა. იაკობი მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო. გოგონა მას მიუცუცქდა.

ძია რას წერთ?

„აი, იას“.

გინდათ მე მოგეხმაროთ?

დიახ, – თქვა ძია იაკობმა.

გოგონა და ძია იაკობი აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ. ეს გოგონა მე ვიყავი.

თეკლა ჯარიაშვილი
III კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – გული სალუქვაძე

ვახტანგ გორგასალი

ერთხელ, როცა თბილისობაზე ვიყავი, წარმოვიდგინე – ვახტანგ გორგასალი გაცოცხლდა, აღმართული ხელი ჩამოსწია.

ვახტანგ მეფის ცხენიც გაცოცხლდა და დაიჭიხვინა.

მეფე ცხენიდან გადმოხტა და გაუყვა თბილისის ქუჩებს.

ილია ბარამიძე
III კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – გული სალუქვაძე

გაზაფხული ჩემს სოფელში

(პეიზაჟი)

გურია ცნობილია თავისი ლამაზი ბუნებით. ჩემი სოფელი – აცანა, გურიის ერთ-ერთი მშვენიერი ადგილია. ჩემი აზრით მას, ამ ქვეყნად, არაფერი შეედრება. ამ სოფელში ჩემი ბებო გაიზარდა. დედაჩემიც ზაფხულის არდადეგებს იქ ატარებდა და ახლა მეც ხშირად ჩავდივარ.

წლის ყველა დრო თავისებურად ლამაზია, მაგრამ გაზაფხული ყველაზე მეტად უხდება ჩემს სოფელს. როცა მტრედისფრად ინათებს, რიჟრაჟი მართლაც თეთრი მტრედის ბუმბულივით ლამაზია. მზეც ნისლშია გახვეული, ბალახებზე მარგალიტივით პაწაწინა კრისტალის ნამსხვრევებივით მიმოფენილია ცვარი... ხეებიც საღამოს კაბებს მალე იცვამენ... ნეტავი ვის ეპრანჭებიან?...

ბაბუას ხშირად მივყვები მინდორში... ღელესთან რომ გავივლით, ყოველდღე მხვდება სხვადასხვა ფერის ლამაზი ყვავილები, თითქოს ვიღაცამ შეღებაო. ზუსტად არ მახსოვს სახელები, მაგრამ ყველაზე ლამაზი მათ შორის ოქროსფერი ყვავილია. არაერთხელ შემიმჩნევია მისი ფერის ბზინვარება ალიონზე, თითქოს თვითონ მზე იქცა უამრავ, პატარა ნამსხვრევად, რომლებმაც მერე ყვავილები ოქროსფრად შეღებეს. ცა ოკეანესავით ცისფერია. გეგონება, რომ დედამიწას მართლაც ცის მაგივრად ოკეანე ჰფარავს. როცა მოსაღამოვდება, მზე მთებში იმალება, მთებიც აღარ ჩანან. სამაგიეროდ, ცა მუქდება და ვარსკვლავები ჩნდებიან. იგი ისეთივეა, როგორც, ღამით ოკეანე, რომელიც შორიდან შავი გვეჩვენება. ვარსკვლავები კი ციმციმებენ, გეგონება ანგელოზის ყელსაბამის მარგალიტებია. მალე ცაზე მთვარეც ჩნდება და არემარეს ანათებს, ბუჩქებიდან ციცინათელებიც გამოდიან, თითქოს ღამის პაწაწინა ლამპრები არიან. მე კი ყოველდღე ვტკბები ამ მშვენიერებით.

სოფიო ბურჭულაძე
VIII კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – ლალი ჯაფარაშვილი

გაზაფხული

გაზაფხული მოვიდა,
მზე გვიცინის ზეციდან,
ენძელები, იები
ამოსულან მიწიდან.
გაზაფხული მოვიდა,
ნამი ცეკვავს ბალახზე,
იას ჭიამაია
დაუსკუპდა კაბაზე.

ნიცა ვეფხვაძე
III კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – ნინო ქარცივაძე

ჩემი სასახლე

ჩემი სასახლე იუბილარია, 75 წლის ხდება.

ეს ძალიან მიხარია.

ერთხელ, როცა სასახლეში მოვდიოდი, დავინახე ერთი მოხუცი სასახლეს უყურებდა.

– გამარჯობა? – მივესალმე მე.

– გაგიმარჯოს!...

– ეს ჩემი სასახლეა – ვუთხარი მე.

– ეს ჩემი სასახლეცაა – მიპასუხა მან.

– როგორ? – გავიკვირვე მე.

– მე შენხელა რომ ვიყავი, აქ დავდიოდი.

– მოგწონთ სასახლე არა? – შევეკითხე მე.

– არათუ მომწონს, მიყვარს კიდეც. ახლა აქ ჩემი შვილიშვილები დადიან და მე ხშირად ვაკითხავ მათ.

– რა ჰვიათ თქვენს შვილიშვილებს? – ვკითხე მე.

– ელენე და გვანცა.

მოხუცმა გვარიც რომ მითხრა, წამოვიძახე:

– ისინი ჩემი მეგობრები არიან.

მას ძალიან გაუხარდა.

– ჩემი საყვარელი სასახლე – სიამაყით წარმოთქვა მოხუცმა. – ახლა ეს სასახლე თქვენია. აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ მას, – დამიბარა და წავიდა.

მარიამ ძნელაძე
IV კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – გული სალუქვაძე

ნანა დედოფლის და წმინდა ნინოს შეხვედრა

წმინდა ნინო მებაღე ცოლ-ქმართან მაყვლოვანში ცხოვრობდა.

ნინო მაყვალს კრეფდა, როდესაც მასთან სეფე ქალი მივიდა და უთხრა:

– ნინო, დედოფალი ნანა ძალიან ავად არის. ნინო დაუფიქრებლად გაჰყვა სასახლეში სეფე ქალს. მან დაინახა, სარეცელს მიჯაჭვული დედოფალი სიკვდილს როგორ ებრძოდა, უმალ უკან გამობრუნდა მაყვლის ძირების მალამოს და იის წყლის მოსატანად. სახე იის წყლით მობანა, მალამო აცხო.

ოი, საოცრებავ! დედოფალმა თვალები გაახილა.

დედოფალი გაკვირვებული უყურებდა ქალწულს. ბოლოს ჰკითხა: ვინ ხართ, საიდან მოხვედით, რა ძალა გაქვთ ასეთი? ნინომ უამბო ვინც იყო.

ნინო ცისფერი თვალებით გადასცემდა ნანა დედოფალს წმინდა ჯვრის ძალას.

დედოფალმა გულში უფლის მადლი იგრძნო.

ამ დროს მეფე მირიანი ნადირობიდან დაბრუნდა სასახლეში. გაბრწყინებული სახით შეეგება ნანა დედოფალი მეფეს და უამბო თუ როგორ უმკურნალა ქალწულმა ნინომ. გაოცდა მეფე ქალწულის სიძლიერით და ირწმუნა უფალი.

სწორედ დედოფალი ნანა და მეფე მირიანი იყვნენ პირველი ქართველები, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს.

ეკატერინე ჯარიაშვილი
III კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – გული სალუქვაძე

თოვდა...

(ნახატში შესვლა)

თოვდა. ბაბუ აივანზე იდგა. თვალები დაეხუჭა და ქუთუთოები უკრთოდა. ცდილობდა წარმოედგინა მოხუცი ბებო, რომელსაც გათოშილი, გალეული ხელი მოაჯირზე ჩამოედო, მეორე ხელით ჯოხს დაყრდნობოდა და დაბინდული თვალებით ცას გაჰყურებდა.

ბაბუს ძალიან მოუნდა შეეგრძნო მისი ხელი. აკანკალებული დიდი ტორი ასწია და მოაჯირზე დადო. ფიქრი გაქარწყლდა.

ქარმა თოვლის ფანტელები ბაბუს სახეში შეაყარა და გამოაფხიზლა. ახლა უფრო მეტად იგრძნო სიმარტოვე, მონატრებოდა ბებოს სითბო, მისი ღიმილი, მისი ცრემლებიც კი და საერთოდ ყველაფერი.

თოვდა, დაუსრულებლად თოვდა...

მარიამ კაკალაშვილი
VII კლასის მოსწავლე,
პედაგოგი – გული სალუქვაძე

გამოცდილება

წარმოდგენა იწყება

ვის არ უოცნებია მსახიობობაზე? აპლოდისმენტებზე? ვის არ გვითამაშია დედობანა, მასწავლებლობანა, დაჭერობანა, ექიმობანა და დიდი სიხარულითა და მონდომებით მოგვირგია სხვადასხვა როლი? ალბათ ბევრს, მეც მათ შორის და როცა მასწავლებელი გავხდი, ბავშვებთან ერთად გავაგრძელე გაკვეთილზე თამაში, რომელსაც „სპექტაკლობანა“ დავარქვი, უფრო სწორად, გაკვეთილი-სპექტაკლი (თანამედროვე მიდგომები სწორედ რომ თამაშით სწავლებას ითხოვდა ჩემგან). და მაინც, საიდან დაიწყო ყველაფერი. ახალმისულ მასწავლებელს ხშირად ყველასგან უარყოფილ, ეგრეთ წოდებულ გადარეულბავშვებიან კლასს აძლევენ. ეს ერთგვარი გამოცდაა, თუ გაუძლებ, დარჩები, თუ არადა, წახვალ სკოლიდან. მეც არ ვიყავი გამონაკლისი და წლის ბოლოს ვფიქრობდი, რომ არ ღირდა სკოლაში დარჩენა და ჩემდა გასაკვირად, დირექტორმა საუკეთესო კლასი გადმომცა. მაშინ მივხვდი, რომ სასიამოვნოც კი იყო მასწავლებლობა. ბავშვები ძალიან მოწესრიგებული, ბეჯითი და მონდომებული იყვნენ. ყველაფერს მალე ითვისებდნენ და გადავწყვიტე, რამე განსხვავებული, სახალისო და საინტერესო მომეფიქრებინა.

ასე დავიწყეთ გაკვეთილზე სპექტაკლის დადგმა. რას ვაკეთებდით ან რითი განსხვავდებოდა ეს მეთოდი როლური თამაშისა ან მკითხველის თეატრისგან? დავალება ასეთი იყო – მოსწავლეებს წინასწარი მომზადების გარეშე, კონკრეტული ტექსტის მიხედვით, უნდა დაედგათ გაკვეთილზე სპექტაკლი. თავად უნდა ყოფილიყვნენ რეჟისორებიცა და მსახიობებიც, როლებიც დამოუკიდებლად გაენაწილებინათ. მიცემულ დროში მოესწროთ ამ დავალების შესრულება, ინსცენირებისას წიგნი არ გამოეყენებინათ (შეეძლოთ შეემოკლებინათ ტექსტი ან, საჭიროების შემთხვევაში, შეეცვალათ), ყურადღება მიექციათ მეტყველებისთვის, ტექსტის მთავარი სათქმელი გადმოეცათ, პერსონაჟები ბუნებრივად განესახიერებინათ, თან ისე წარმოედგინათ, რომ მაყურებლებს, ანუ ჩვენ, ტაშიც დაგვეკრა. დავალება არც ისე მარტივი იყო, მაგრამ დიდი მონდომებითა და სიხარულით აკეთებდნენ. მუშაობის პროცესში მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ, მთავარია, შემოქმედებითად მიდგომოდნენ საქმეს, გამოეყენებინათ ყველა უნარი და შესაძლებლობა, რომ სპექტაკლი საინტერესო ყოფილიყო.

როგორ დავგეგმოთ ასეთი გაკვეთილი? კლასს ვყოფ ჯგუფებად (მერხები წინასწარ აქვთ გამზადებული ჯგუფური მუშაობისთვის), ვახსენებ ქცევის წესებს, ვაცნობ დავალების პირობას – რევაზ ინანიშვილის მოთხრობის „ჩიტების გამომზამთრებელი“ მიხედვით უნდა წარმოადგინონ სპექტაკლი. სჯობს, პირველი ცდისთვის დიალოგებიანი ტექსტი შევარჩიოთ (ისე ნებისმიერი საპროგრამო ტექსტი შეიძლება გამოიყენოთ). მათ ტექსტი უკვე ნასწავლი აქვთ, გააზრებულიც. შეუძლიათ, შეცვალონ დასასრული, შემოიყვანონ ახალი პერსონაჟი, გამოიყენონ მუსიკა ან თავად იმღერონ, იცეკვონ, პანტომიმის ელემენტები შემოიტანონ, დახატონ დაფაზე, გამოაკრან აფიშა, გააკეთონ ყველაფერი, რაც თავიანთი იდეის განსახორციელებლად დასჭირდებათ. დავალების შესასრულებლად აქვთ 45 წუთი, პრეზენტაციისთვის – 5 წუთი, ურთიერთშეფასებისთვისაც – 5 წუთი. მასწავლებელი არ ერევა ჯგუფის წევრების მუშაობაში. ისინი თავად ირჩევენ მუშაობის პრინციპს. ჯგუფი თანხმდება, ვინ იქნება ლიდერი, ვინ დაწერს სცენარს, ვინ ითამაშებს, ვინ გააფორმებს სცენას. თუ ჯგუფი ვერ თანხმდება, მასწავლებელი მხოლოდ ახსენებს დროს და თუ არ დაიწყებენ მუშაობას, გამოეთიშებიან თამაშს... ასეთი გაკვეთილი ხმაურიანია, მოსწავლეები ემოციას ვერ იკავებენ, როცა ერთმანეთს ახალ-ახალ იდეებს უზიარებენ და საუკეთესოს არჩევენ. ხშირად ვერ იყოფენ როლებს, არ ჰყოფნით დრო. ასეთ შემთხვევაში, ვთავაზობ გამოსავალს, რომ თავად დაამატონ პერსონაჟი ან თვითონ მოძებნონ სხვა გამოსავალი. ინსცენირებისას ხშირად არ უსმენენ ერთმანეთს, რადგან ისევ თავიანთი წარმოდგენის დეტალებს არკვევენ, ამიტომ საჭიროა წინასწარ იცოდნენ, თუ არ მოუსმენენ სხვას, არ შეფასდებიან. მართალია, წინასწარ ძნელია გაარკვიო, როგორ გაართმევენ თავს დავალებას, შეიძლება სულაც არ გამოვიდეს საინტერესო წარმოდგენა, მაგრამ ინტერესი დიდია როგორც ჩემი, ისე მოსწავლეების მხრიდანაც. ასეთი გაკვეთილი ამართლებს მაშინ, როცა კლასში 15 ან 20 ბავშვია. მუშაობის დასრულების შემდეგ, სკამებსა და მაგიდებს ადგილს ვუცვლით, რომ ცოტათი მაინც დავამსგავსოთ ჩვენი საკლასო ოთახი თეატრის სცენას. ვიწყებთ, ყველა ფაციფუცობს და ცდილობს, ორიგინალური წარმოდგენა გვაჩვენოს. თითოეულ გამომსვლელს ვაცილებთ ტაშით. გამოვხატავთ ჩვენს ემოციებს და ბოლოს თითოეული ჯგუფი აფასებს დანარჩენი ჯგუფის ნამუშევარს. ვიყენებთ განმავითარებელ შეფასებას. ასეთი გაკვეთილის დროს მოსწავლეები გახსნილები და ჩართულები არიან, შესაფერისი გარემოა ახალი იდეებისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად. დავალების პირობა, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება შევცვალოთ, მაგალითად, შეიძლება ჯგუფებს სხვადასხვა დავალება მივცეთ, დრო შევუმციროთ ან გავუზარდოთ და ა.შ.

და კიდევ ერთხელ, „თანამედროვე ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია, ადამიანი ფლობდეს შემოქმედებით უნარებს, შეეძლოს არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება. შემოქმედებითი უნარების განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებენ ფსიქოლოგებიც და აღნიშნავენ, რომ ეს არის ადამიანის უნარი, ააგოს თავისი სამყარო, გამოხატოს დამოკიდებულება (სიტყვით, ხატვით, მუსიკით, საქმიანობით) და წარმოაჩინოს თავისი თავი ამ სამყაროში“, სწორედ ამიტომ, ჩვენც ვცდილობთ, ამ უნარის განვითარებას სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ.

ანი მალიძე
ვლადიმირ კომაროვის თბილისის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საუბრები ლიტერატურაზე

რას ემსახურება პერსონაჟთა ხატვის ხელოვნება

შემოქმედი ნაწარმოების დაწყებამდე საკმაოდ დიდხანს ფიქრობს. პერსონაჟების შექმნა არაა მარტივი საქმე. ავტორისათვის მნიშვნელოვანია, პერსონაჟი იმ თვისებების მატარებელი იყოს, რომლებიც ავტორს ჩანაფიქრის განხორციელებაში დაეხმარება. ყველა პერსონაჟს გარკვეულ მისიას აკისრებს ავტორი. მათი თითოეული ნაბიჯი, თითოეული ფრაზა თუ კარგად გათვლილი და გააზრებული არაა, ასეთი ნაწარმოები ვერ იქნება ღირებული. მინდა ყურადღება გავამახვილო ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივზე“. ილია არ იყო შემოქმედი, რომელიც მხატვრულად გადმოცემაზე ამახვილებდა ყურადღებას, მისთვის აზრი იყო მნიშვნელოვანი. აზრის გადმოსაცემად კი ქმნიდა სათანადო სიტუაციებსა და მოქმედ გმირებს.

არჩილი და კესო ერთი ოჯახის წევრები არიან, ერთნაირად აღზრდილნი და განათლებულნი, მაგრამ მათი აზროვნება განსხვავებულია. ქალს უჭირს იმას ჩასწვდეს, რასაც არჩილი უკვე მიხვდა. ვერც ქვრივისა და მისი შვილის მოქმედებები გაუგიათ გლეხებს: *„...ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი“*. კესოსთვის გიორგი მხოლოდ მოჯამაგირეა, არჩილისათვის კი – გადაშლილი წიგნი: *„გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერილი.... სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი..... წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ“*. არჩილს არ უკვირს გლეხის ღირსება, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ზნეობრივად ასე ამაღლებული, გიორგის კესოს სიყვარული შეატყოს. თუმცა ამ გზას უკვე ადგანან: *„წმინდაა ეგ ცრემლი“* – ეუბნება არჩილი დას, როცა *„გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილ“* გულზე ესაუბრება. ცრემლი ხომ *„გადავსებული გულის ნაწილია, ის, რაც გულმა ვეღარ დაიტია, გაარღვია მისი კედლების შრეები, გამოქანებულ ტალღასავით გადალახა გზა თვალის გუგებამდე და მთელი ძალმოსილებით მიაწყდა, გამოჟონა თვალის უპეების ნაპრალებიდან და გრძნობებად ქცეული ჩამოცოცდა სახის ნაკვთებზე“*. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ აქვე გავიხსენებთ არისტოტელეს სიტყვებს: *„...წარმოდგენისას ხდება კათარზისი, განწმენდა“*. ეს ცრემლი სწორედ არჩილისა და კესოს სულიერი განწმენდის, სულიერი ამაღლების ნიშანია. ნიშანია, რომ კიდევ უფრო მეტად წააქცევს კედელს ორ წოდებას შორის, კიდევ უფრო პროგრესულად მოაზროვნენი გახდებიან.

ოთარაანთ ქვრივისა და არჩილის დამოკიდებულებაში თვალსაჩინოა ურთიერთპატივისცემა. არჩილი ისეთ პატივს სცემს ქვრივს, მოჯამაგირედაც კი არ აიყვანა მისი შვილი ქალის დაუკითხავად. ყველას მიმართ კრიტიკულად განწყობილი ქალის სიტყვებიც: *„ჭკუა აქვთ და იმიტომაო“*, და-ძმის მიმართ სიმპათიას გამოხატავს. რატომ ათქმევინა ეს სიტყვები ავტორმა ამ უკმეხ ქალს, რომელსაც სოფელში მხოლოდ ერთი ადამიანი, დათია ბადიაშვილი, აფასებს სათანადოდ? (*„მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო“*), ალბათ ამით უნდოდა ეჩვენებინა, რა არის საჭირო ამ ორი გათიშული ფენის გასაერთიანებლად. ილია არ დასჯერდა მხოლოდ სიტყვებს, რომლებიც არჩილს კესოსთვის ათქმევინა: *„ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს“* და დაგვიხატა თავიანთი ფენის განვითარებული პერსონაჟები, რომლებზე დაკვირვებაც კარგად გვაჩვენებს, როდის გაერთიანდება ეს ორი ფენა. ეს მოხდება მაშინ, როცა გლეხები სულიერად და ზნეობრივად ოთარაანთ ქვრივს დაემსგავსებიან, თავადები კი – არჩილს.

ავტორს აქვს იმის იმედი, რომ გლეხები უკვე შეუდგნენ ქვრივის გზას. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ერთი ფრაზა: *„მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო, – იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, – არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა... იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგებაო“*. სწორედ ეს დათია ბადიაშვილი არის მიმდევარი ოთარაანთ ქვრივისა (ისევე, როგორც ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგის“ პერსონაჟი ზუდარჩა იგის „კვალი“, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“ კი – მინდია), რომელსაც ალბათ მალე სხვებიც მიბაძავენ, რადგან დათია ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს „იტყოდა ხოლმე“. არჩილს კი კესო უახლოვდება თავისი აზროვნებით.

საინტერესო პერსონაჟია სოსია მეწისქვილე. მართალია, სოსია არაა მთავარი გმირი, მაგრამ, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი პერსონაჟია. რისთვის შემოიყვანა ავტორმა ის ნაწარმოებში? რა ფუნქცია აკისრია მას? განა მხოლოდ ქვრივის ღირსების წარმოჩენა: *„ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიან!“* ჩვენ ვიცით, რომ სოსია ამ სოფლის შვილი არაა. საიდან და რისთვის მოიყვანა იგი ავტორმა? როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, მეწისქვილეს ოთარაანთ ქვრივთან ჰქონდა შეხება, ვფიქრობ, ის ქალს მოჰყვა მშობლიური სოფლიდან და ისე ჩუმად ცხოვრობდა ამდენი წელი ქვრივის სოფელში, ქალს არც კი შეუმჩნევია იმ კაცის არსებობა, რომელმაც ოდესღაც მისი ხელი ითხოვა. როგორც ფინალში იკვეთება, სოსიამ მთელი ცხოვრება მხოლოდ ოთარაანთ ქვრივის სიყვარულს შესწირა, რამაც ისე დააკნინა, ახალგაზრდები უპატიოდაც კი ექცევიან. უპრიანი იქნება, მოსწავლეებს შევახსენოთ, რომ არ არსებობს პერსონაჟი, რომელსაც თავისი მისია არ აკისრია ნაწარმოებში... რა არის მეწისქვილის ფუნქცია? განა ისიც ისეთივე უპასუხო სიყვარულის მსხვერპლი არაა, როგორიც გიორგი? განა გიორგის რომ ეცოცხლა, სოსიას ბედს არ გაიზიარებდა? ალბათ, ავტორმა სოსიას სახით გიორგის სიბერე გვაჩვენა, გიორგი ფიქრობს: *„მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისამარა დღეს მზეს შევყურებო“*. სოსიაც, ალბათ, იმიტომ გამოჰყვა ქალს ქმრის სოფელში, რომ აქ იყო მისი „მზე“: *„ცოცხალზე არ გამახარა ღმერთმა...“*; თვითშეფასება ორივე პერსონაჟს დაბალი აქვს: გიორგი ამბობს: *„სად მე და სად შენ...“*, ასევე ფიქრობს სოსიაც: *„ვეღარ შევბედავ, ვეღარა...“*; ორივე სამართლიანია, ამ თვისებას გიორგი ქცევით ავლენს, სოსია – გიორგის მოქმედების შეფასებით; ორივე მზადაა, ემსახუროს სატრფოს: გიორგი თავს დასტრიალებს კესოს ბაღს, სოსია ვერ ტოვებს შვილის ცხედართან გულადუღებულ ქვრივს: *„...წავალ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე“*; გიორგიც ისევე შეეგუა თავის ბედს, როგორც სოსია. სოსიამ ერთხელ მაინც გაბედა, ქალისთვის ხელი ეთხოვა, თუმცა ქალს სულაც არ ახსოვს. მაშ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო უკეთესი გიორგის შემთხვევაში, როცა კესოს ისიც არ შეუმჩნევია, როგორ ევლებოდა თავს ვაჟი. ვვარაუდობ, ავტორმა სოსიას სახით გიორგის სიბერე გვაჩვენა. როდესაც კლასში ვსვამ კითხვას, როგორ წარიმართებოდა გიორგის ცხოვრება, თითქმის ყველა ბავშვი ფიქრობს, რომ გიორგი ოდესმე გაუმხელდა კესოს სიყვარულს. მგონია, სწორედ ამიტომ შემოიყვანა ილიამ სოსიას პერსონაჟი. ამით კიდევ უფრო გაუსვა ხაზი „ჩატეხილი ხიდის“ გამთელების აუცილებლობას, რომ გიორგის მსგავს ღირსეულ ვაჟკაცებს ჰქონდეთ მომავალი.

პირველივე ნაბიჯები შემოქმედებაში ილიას გარემოთი უკმაყოფილებამ გადაადგმევინა. მისი მოღვაწეობა დაემთხვა ძველის ნგრევის პერიოდს. ილიამ საზოგადოებას მიაწოდა ახლის შენების იდეა. მის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს მიზნის დასახვა და მოქმედებისათვის საჭირო რჩევები. მწერალი არასოდეს კმაყოფილდებოდა მხოლოდ არსებულის გამოკვლევით, მუდამ გარემოს შეცვლისაკენ ისწრაფოდა, რჩევას იძლეოდა. მის თხზულებათა უმრავლესობა მრავალპლანიანია, ფართოა მწერლის გააზრება და ხედვა, რაც განსაკუთრებით ნათლად იკვეთება „ოთარაანთ ქვრივში“ – ერთ მხარეს დგას გლეხობა, მეორე მხარეს – თავადაზნაურობა. მათ შორის ხიდია ჩატეხილი, რომლის გამთელების გზას ეძებდა ავტორი და ვფიქრობ, გვაჩვენა კიდეც.

ქეთევან ბუხრაშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა-2012
2. მაია ჯალიაშვილი – მარგინალები – ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ სწავლებისათვის

სასკოლო აქტივობა

რუსთაველიდან აკაკიმდე

ქართველი კლასიკოსები შესაშურ ძალისხმევას ავლენდნენ ქართული სიტყვის, ქართული სულის გადასარჩენად. „ხმატკბილი და ტკბილქართული“ რვა საუკუნე-ნახევარია, რაც კვებავს და აძლიერებს ქართულ ფესვებს. გენიალური რუსთაველის განუმეორებელ ძალას გრძნობდა დიდი აკაკი, ამიტომ შესთხოვდა მის ნათელ სულს:

„სულმნათო, ჩვენცა გვასწავლე
ეგ საიდუმლო ჟღერისა,
რომ აგვისრულდეს წადილი
მგოსანი ვიქმნეთ ერისა!“

კლასიკოსთა შემოქმედებას თვალს რომ შეავლებ, ხვდები, საოცარი ძაფები, პოეტური გზნება და ცეცხლი, რომლითაც აგიზგიზებულია აკაკის ხმატკბილი ჩანგი, რუსთაველის მადლით არის დამშვენებული.

საქართველო და რუსთაველი, საქართველო და აკაკი – გულს მალამოდ ედება ეს სიტყვები. მარადჭაბუკმა ლადო ასათიანმა გამორჩეულად იგრძნო მათი თანხვედრა და სამუდამოდ დააკავშირა ისინი საქართველოსთან: *„ტკბილია, როგორც რუსთველი, ტკბილია, როგორც აკაკი“*. ესაა ერთ-ერთი ძვირფასი, უთბილესი შედარება ქართულ პოეზიაში, გულს რომ გაგინათებს და მამულის ფასს გამორჩეულად გაგრძნობინებს. გენიალური პოეტების ეს უწყვეტი კავშირი მშვენივრად წარმოჩინდა საჩხერის პირველ საჯარო სკოლაში გამართულ გრანდიოზულ ზეიმზე – „უკვდავი მწერლის შესწავლა თვით ამ ერის უკვდავებაა!“

სწორედ ამ ორი მგოსნის სულიერ კავშირზე იყო აგებული ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტი „სულმნათო, ჩვენცა გვასწავლე ეგ საიდუმლო ჟღერისა“. დასკვნით საღამოს ლაზათი შესძინა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის სტუმრობამ.

„XIX საუკუნემდე, როგორც სულმნათი აკაკი აღნიშნავდა, რუსთაველის ორ სიბრძნეზე იდგა საქართველო: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. რწმენამ, მაღალზნეობრიობამ გადაარჩინა საქართველო ძნელბედობის ჟამს და შეუნარჩუნა თვითმყოფადობა. ასეა დღესაც.“ – დასძინა მეუფე დანიელმა.

მეტად ფასეული და დროულია ამ ტიპის შეხვედრები, ბავშვები გულისყურით ისმენენ მათ ნაამბობს, ეცნობიან გულმხურვალე მამულიშვილთა საქმიანობებს და თვითონაც იმსჭვალებიან სიკეთით. ახალგაზრდები ინტერესდებიან კლასიკური ლიტერატურით, უჩნდებათ სურვილი, რაც შეიძლება ხშირად ეზიარონ იმ მადლს, ქართული პოეტური სიტყვა რომ აფრქვევს. ფასდაუდებელია რუსთაველის ტკბილქართული, 8 საუკუნე-ნახევარი რომ კვებავს ქართველ კაცს!

„თქვენ ის ბედნიერი ბავშვობა გამიცოცხლეთ, – ბრძანა დედა ელენემ, – *როცა უფროსები დაგვსვამდნენ, ხმამაღლა გვაკითხებდნენ ჩვენს მდიდარ ლიტერატურულ შედევრებს. ეს იყო ჩვენი ყოველდღიური სულიერი საზრდო, როგორც ბებო იტყოდა – „სულის პური“. ეს ბადებს წმინდა გულსა და წრფელ სულს, ამიტომ მოგიწოდებთ ახალგაზრდებს ჩვენი*

უწმინდესი: „ყოველდღიურად იკითხეთ კლასიკა“. ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ წიგნიერ, რუსთაველის, ილიას, აკაკის იდეალებით განათლებულ ახალგაზრდებს. მადლობა მგოსნის სახელობის სკოლას, ამ შთამბეჭდავი საღამოს ორგანიზატორს, ქალბატონ ნუნუს, ასე ოსტატურად რომ განახორციელა მეტად საინტერესო პროექტი“.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ცისმარ მაჭარაშვილმა**, პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა **ირმა კაპანაძემ**, სასწავლო ნაწილის გამგემ **ვერა აბდუშელიშვილმა** და სხვებმა.

კიდევ უფრო რომ გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც წავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისეთ შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენს წანაპრებთან არ შევრცხვეთ, – ბრძანებდა აკაკი. უპირველესად, მგოსანი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას გვთხოვდა, რადგან მიაჩდ, რომ *„უკვდავი მწერლის შესწავლა და ძეგლის დადგმა თვით ამ ერის უკვდავებაა“.*

ნუნუ გოგოლიძე
აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საჩხერის საპატიო მოქალაქე

14 აპრილი

ვადიდოთ ენა ქართული

14-21 აპრილს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო ინიციატივების ფარგლებში, აფხაზეთის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების ინიციატივით, აფხაზეთის საჯარო სკოლებში ჩატარდა დადაენის დღისადმი მიძღვნილი სასწავლო საგანმანათლებლო შემოქმედებითი კვირეული, ეგიდით – „ენა დედაა ერისა“, რომელშიც აფხაზეთის საჯარო სკოლების აღსაზრდელები, პედაგოგები, კომპაქტურად ჩასახლებული შემოქმედი მოზარდები და უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

აღნიშნული პროექტის მიზანი იყო მომავალი თაობის სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების განვითარება, ქართული ენის სიწმინდისათვის აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების აქტივირება და მათი შემოქმედებითი ჩვევების განვითარება.

პროექტის ძირითადი პოზიტივი იყო მომავალი თაობის მიერ ილიას სიტყვების – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – გათვალისწინება და წინაპართა მიერ ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისათვის გაწეული ღვაწლის დაფასება.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ: აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ომის ვეტერანები, თბილისში მცხოვრები აფხაზი მრავალშვილიანი დედები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტები.

კვირეული მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

❖ შემოქმედებითი კონფერენცია თემაზე ქართული ენის საკითხები ქართველ კლასიკოსებში. მომხსენებელი – ი. ჭავჭავაძის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნანა სახვაძე**;

❖ 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები და დედაენის დღის დაწესების მიზეზები. მომხსენებელი – სახელოვნებო განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ქართული ენის საკითხების მკვლევარი **იზონერა ბერაია**;

❖ „ჩვენ, იაკობი და დედაენა“ – იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების მიხედვით შექმნილი ნახატების გამოფენა „ანბანთქება“ და ცნობილი ადამიანების გამონათქვამები დედაენაზე;

❖ „ვადიდოთ ენა ქართული“ – ლიტერატურული კონფერენცია დედაენის ძეგლთან.

აღნიშნული აქტივობების საფუძველზე, აფხაზეთის საჯარო სკოლებში, კვირის განმავლობაში, არაერთი ღონისძიება გაიმართა. კვირეულში ჩართული შემოქმედი მოზარდები აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ქების სიგელებითა და ჟურნალ „რიწის“ სპეციალური ნომრით დაჯილდოვდნენ.

ნონა ბერაია

ინფორმაცია

ტრიუმფი გერმანიაში

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები, 16-22 აპრილს, გერმანიის ქალაქ შტუტგარტში იმყოფებოდა ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც წელს ოცდამეოთხედ ჩატარდა. ახალგაზრდა მეცნიერები, მსოფლიოს 29 ქვეყნიდან, ერთმანეთს 5 სამეცნიერო კატეგორიაში ეჯიბრებოდნენ: ფიზიკის, მათემატიკის, სიცოცხლის შემსწავლელი, გარე სამყაროს შემსწავლელი და კომპიუტერული მეცნიერებების.

200-მდე ახალგაზრდამ თავისი ნაშრომი ინგლისურ ენაზე წარმოადგინა კომპეტენტური ჟიურის წინაშე. საქართველოს ნაკრები ქართულ-ამერიკული სკოლისა და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 10 მოსწავლისაგან შედგებოდა.

სულ საქართველოს ნაკრებმა 6 საპროექტო ნაშრომი წარადგინა და მეტად სასიხარულოა, რომ ხუთმა გამარჯვება მოიპოვა:

• ვერცხლის მედალი – **თინათინ კამკამიძე** და **არჩილ გელენავა**, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების კატეგორიაში;

• ბრინჯაოს მედალი – **მარიამ გიგაური**, ფიზიკა;

• ბრინჯაოს მედალი – **მარიამ როსტომაშვილი**, მათემატიკა;

• ბრინჯაოს მედალი – **მამუკა კობახიძე** და **დავით გუდაძე**, მათემატიკა;

• სპეციალური პრიზი – **გიორგი ბუგეჩაშვილი** და **თინათინ ლაღაძე**, მათემატიკა.

მარიამ როსტომაშვილი: *„ჩემთვის ეს მეორე კონფერენციაა. წინა წელთან შედარებით, გამოირჩეოდა სირთულით, რაც გამოიხატებოდა ჟიურის სიმკაცრით, თემების სიძლიერითა და მონაწილეების სიმრავლით.*

მიმაჩნია, რომ წარმატებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია გამართლება და იღბალი, თუმცა, ამ შემთხვევაში ეს საკმარისი არ იქნებოდა, რომ არა მონდომება და მიზანდასახულობა, რაშიც დიდი წვლილი ჩემს პედაგოგს ***ია მეგობონიას****, სკოლასა და მეწყვილეს მიუძღვის.*

შტუტგარტში გავეცანი უამრავ საინტერესო, კრეატიულ იდეას, შევიძინე მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ეს ერთი კვირა მათთან ერთად მეგობრულ და თბილ გარემოში გავატარე, რაც არასდროს დამავიწყდება.“

თინა კამკამიძე: *„აღნიშნულმა პროექტმა მომცა მოტივაცია შემესწავლა სამეცნიერო თემის დამუშავების მეთოდები, გავცნობოდი ვირუსული ინფექციის მკურნალობის თანამედროვე საშუალებებს. კონფერენციაში მონაწილეობის პროცესში მქონდა საშუალება, დავსწრებოდი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების პრეზენტაციებს, რამაც გამიჩინა სხვადასხვა იდეა სამომავლო გეგმების ჩამოყალიბებაში.“*

მარიამ გიგაური: *„პროექტი დამეხმარა, გამეცნო ბევრი საინტერესო ადამიანი სხვადასხვა ქვეყნიდან და მათი კულტურა. ასევე მოვიპოვე ცოდნა ჩემთვის საინტერესო სხვადასხვა დარგში და გავიღრმავე ცოდნა ფიზიკაში.“*

ნინო გიორგაძე: *„ჩემთვის ICYS პროექტზე მეტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეჯიბრება იყო, მონაწილეებს შორის ძალიან მეგობრული განწყობა იყო. ვთამაშობდით ინტერაქტიულ თამაშებს, გვქონდა კულტურული საღამო, რაც დაგვეხმარა სხვა ქვეყნის კულტურისა და მონაწილეების უკეთ გაცნობაში. პროექტმა გამიჩინა სამომავლო მიზნები.“*

მამუკა კობახიძე: *„ICYS პროექტი იმაზე უფრო მეტად საპასუხისმგებლო იყო, ვიდრე წარმოვიდგენდი. თემის წარდგენის წინ მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდი, როდესაც ამდენი ქვეყნის წარმომადგენლისთვის უნდა გამეწია კონკურენცია. გარდა პროექტისა, გერმანიაში დაგვხვდა საკმაოდ თბილი გარემო და, რაც მთავარია, მონაწილეებს შორის იყო ძალიან მეგობრული დამოკიდებულება.“*

კონფერენციის დასასრულს, დასკვნით საღამოზე, ყველა ქვეყანამ წარმოადგინა საკუთარი კულტურული ნომერი. ქართველების ცეკვამ, გიტარის აკომპანირებით, დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაისში, ჩვენი სკოლების მოსწავლეები, ახლა უკვე ამერიკაში დაიცავენ საქართველოს ღირსებას. წელს INTEL ISEF კალიფორნიის დედაქალაქ ლოს-ანჯელესში გაიმართება.

ირმა მესხიშვილი
ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორი

სასკოლო ბუფეტებში არაჯანსაღი საკვები აღარ გაიყიდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო ბუფეტებში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას და ამ სფეროს რეგულირებას იწყებს. პრობლემა, ამ კუთხით, წლების განმავლობაში მოუგვარებელია, სკოლის ბუფეტებში მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია არაჯანსაღი საკვები პროდუქტები, რაც სპეციალისტების თქმით, მოზარდების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სკოლებში ჯანსაღი კვების დანერგვის მიზნით, მეთოდური რეკომენდაცია შეიმუშავა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი კვების პრინციპების გატარებას ითვალისწინებს. აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, სკოლებში იკრძალება წასახემსებლების (ჩიფსები, ე.წ სუხარიკები, ჟელიბონები), კანფეტების, შოკოლადების, გაზიანი სასმელების (გარდა გაზიანი მინერალური წყლისა) გაყიდვა.

ჯანსაღი საკვები, ყოველდღიურ რეჟიმში, დაეხმარება მოსწავლეებს კონცენტრირება მოახდინონ საგაკვეთილო პროცესზე, რაც ხელს შეუწყობს მათ, მარტივად აითვისონ სასკოლო მასალა. რეკომენდაცია შეთანხმებულია ჯანდაცვის სამინისტროსთან.

„სკოლის ბუფეტებში ოპერირებენ გარე კომპანიები, რომლებიც, ფაქტობრივად, ტენდერის მეშვეობით ხდებიან ამ ბუფეტების ოპერატორები. ცხადია, ეს არის კომერციული ორგანიზაციები და მათ აქვთ ინტერესი, მაქსიმალური მოგება მიიღონ, – ამბობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** – *მეორე მხრივ, მათ კომერციულ ინტერესს ხვდება ჩვენი, როგორც მშობლების და ჩვენი შვილების ინტერესი, რაც შეეხება ჯანსაღ კვებას. კარგად მოგეხსენებათ, რომ თვითონ ბავშვებს, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში, უყვართ ტკბილეული თუ სხვა არაჯანსაღი საკვები. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ძალიან ბევრ სკოლაში, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე ჯანსაღმა საკვებმა მოიყარა თავი – გაზიანი და შაქრიანი სასმელები, ე.წ. სუხარიკები, ჩიფსები და ა.შ.“*

ახალი ინიციატივის ფარგლებში, სამინისტრო, სტუდენტების ჩართულობით, აქტიურ საკომუნიკაციო კამპანიასაც იწყებს – სტუდენტები დაწერენ საკომუნიკაციო სტრატეგიას ჯანსაღი კვებისთვის. სამინისტროს ჟიური შეაფასებს და, მოწონებულ გუნდთან ერთად, გაატარებს აქტივობებს. ამ აქტივობებში სტუდენტები დამატებით კრედიტებს მიიღებენ ან ჩაეთვლებათ პრაქტიკულ გამოცდილებაში.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი აცხადებს, რომ საკომუნიკაციო კამპანიის დახმარებით, ეცდებიან, თვითონ ახალგაზრდები დაარწმუნონ ჯანსაღი საკვების უპირატესობაში იმიტომ, რომ შეიძლება ბუფეტში შეიზღუდოს არაჯანსაღი საკვები, მაგრამ იქვე, გზის გადაღმა მაღაზიაში, იგივე ჩიპსები და ჟელიბონები იყიდებოდეს.

არაჯანსაღი საკვები მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი რომ არ იყოს, ევროპის ქვეყნებში არა თუ სკოლებში, მის მიმდებარე ტერიტორიაზეც აკრძალულია კვების ობიექტებში მსგავსი პროდუქტების გაყიდვა.

„იმედი მაქვს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენ ამასაც გავწვდებით. ამ ეტაპზე, ვამუშავებთ შემოქმედებით მიდგომებს, სტუდენტების დახმარებით და შევეცდებით, ყველა სკოლაში ჩავატაროთ კამპანია. მხოლოდ კამპანიით არ შემოვიფარგლებით, პარალელურად, ვეცდებით, სწორად დავარეგულიროთ სკოლის ბუფეტები, მოვუწოდოთ სკოლებს და მათ კონტრაქტორებს, რომ არაჯანსაღი საკვები, ეტაპობრივად, გაქრეს ბუფეტებიდან. უნდა შევეცადოთ, სკოლის ტერიტორია მთლიანად ჯანსაღი ცხოვრების ტერიტორიად გადავაქციოთ, მათ შორის კვების ნაწილში, ასევე, სპორტული აქტივობის თუ სხვა მიმართულებით. დღეს ეს ჩვენი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.“ – ამბობს ალექსანდრე ჯეჯელავა.

საინტერესოა, ამ მოწოდებას მხოლოდ რეკომენდაციის სახე ექნება სამინისტროს მხრიდან თუ კანონითაც იქნება გამყარებული. დღეს არ არსებობს კანონი, რომელიც სკოლაში კვების საკითხს დაარეგულირებდა. ზოგადი განათლების კანონში მხოლოდ ძალიან მოკლე ჩანაწერია – სკოლას ევალება საკვები პუნქტის არსებობა.

„არ არის აუცილებელი, ეს კანონით დარეგულირდეს, შეიძლება დებულებებით ან ხელშეკრულებით გაფორმდეს მომწოდებელთან. ჩვენ შევეცდებით, ერთი მხრივ, ამ მომწოდებლებისთვის მიმზიდველი დარჩეს სკოლებში ოპერირება და ხელი არ შევუშალოთ მათ ბიზნესს, ამავე დროს – მათი ბიზნესის მოდელი ჯანსაღ საკვებზე ავაგოთ. ამისთვის, ვფიქრობ, აუცილებელი არ იქნება კანონში ცვლილებების შეტანა. ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, ვმუშაობთ მარეგულირებელ დოკუმენტებზე, რომლებიც კანონქვემდებარე აქტებია და დაარეგულირებს იმ სტანდარტს, რომლითაც უნდა მოხდეს სკოლის ბუფეტების მომარაგება.“

ერთია სტანდარტის შემუშავება და მეორე – მისი დაცვა. როგორ გააკონტროლებს სამინისტრო იმ პროცესს, რამდენად კეთილსინდისიერად შესრულდება მათი რეკომენდაციები? – ამ შეკითხვაზე მინისტრი პასუხობს: *„ჩვენ გვაქვს ამის ინსტრუმენტები – მონიტორინგის სამსახურები, აუდიტი, იგივე მანდატურის სამსახური და ა.შ. ჩავრთავთ ყველა რესურსს, რაც გვაქვს იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა ხდება სკოლის ბუფეტში. რა თქმა უნდა, მშობლების აქტივობაა კრიტიკული – რაც არ მოსწონთ, რაც არასწორად მიაჩნიათ, უნდა მოგვანდინონ ხმა, ფეისბუქით დაწყებული და მედიით დამთავრებული, ყველა ინსტრუმენტით. ძალიან ყურადღებით ვუსმენთ მშობლებსა და მოსწავლეებს.“*

რაც შეეხება სანქციებს, სამინისტროში აცხადებენ, რომ გარკვეული სანქციები აუცილებლად ამოქმედდება. რადგან ახალი კამპანიის საბოლოო მიზანია, რომ სკოლის ბუფეტის ოპერატორს არ ჰქონდეს უფლება, ბავშვებს არაჯანსაღი საკვები მიჰყიდოს, შესაბამისად, ასეთ დარღვევებზე ძალიან მკაცრი რეაქცია იქნება.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

ინფორმაცია

წარმატებულ სკოლებთან თანამშრომლობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საჯარო სკოლების გაძლიერებისა და მათ შორის პარტნიორობის ხელშეწყობის მიზნით, ახალ პროექტს იწყებს.

პროექტი გულისხმობს სკოლებს შორის ფართო ფორმატის კომპლექსურ თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურული რესურსით ერთობლივი სარგებლობის უფლებას, ისე საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში მხარდაჭერას, პედაგოგების გაცვლით პროგრამებში ჩართვას, საგანმანათლებლო რესურსების გაზიარების მიმართულებით თანამშრომლობას და სხვ.

პროექტის ფარგლებში, თანამშრომლობის პირველი მემორანდუმი თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლასა და 162-ე საჯარო სკოლას შორის გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, პირველი ექსპერიმენტული სკოლა გაუზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას 162-ე საჯარო სკოლას, მიაწოდებს ინფორმაციას პირველი ექსპერიმენტული სკოლის პროგრამების თაობაზე და ხელს შეუწყობს 162-ე საჯარო სკოლას მსგავსი პროგრამების დანერგვაში, სკოლის შეფასებამისი კადრებისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების გზით.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ახალი ინიციატივის ფარგლებში, სკოლებს შორის დაიწყება ფართო ფორმატის, კომპლექსური თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეული სკოლის გაძლიერებას, განვითარებას და იმ საუკეთესო შედეგების მიღწევას, რომელ ზეც ორიენტირებულია ჩვენი განათლების სისტემა.“*

ხათუნა ბარაბაძე, პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი: *„ეს ინიციატივა სიახლეს წარმოადგენს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში და იქიდან გამომდინარეა, რომ ჩვენი სკოლა არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ დაგვეკმაყოფილებინა პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლის ყველა მსურველი. მინისტრმა ასეთი ინიციატივა წამოაყენა და ვფიქრობთ, ნამდვილად გაამართლებს იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან ბევრი მსურველი დაკმაყოფილდება, პირველი ექსპერიმენტული სკოლის ეგიდით, თუმცა ფართი 162-ე სკოლაში იქნება. ამ ეტაპზე, 5 საკლასო ოთახი გამოიყო. ამ კლასებთან ჩვენ გვექნება ზუსტად ისეთივე თანამშრომლობა, როგორიც გვექნებოდა, ვთქვათ, ჩვენი ფართის პირობებში, საირმის ქუჩაზე.*

ეს ინიციატივა ორმხრივად სასარგებლოა. ყველა ის პროექტი, ინიციატივა თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რაც საკმაოდ პოპულარულს ხდის ჩვენს სკოლას, 162-ე სკოლასთანაც განხორციელდება, რა თქმა უნდა, თანამშრომლობის ეგიდით. სამართლებრივი კუთხით ნამდვილად გადაწყდება ეს საკითხი, ამაში სამინისტრო მაქსიმალურად დაგვეხმარება.

მინდა ხაზგამით აღვნიშნო, რომ ყველა ის მოსწავლე, რომელიც საყოველთაო რეგისტრაციის შედეგად, 8 მაისს, დარეგისტრირდება (ასეთი 125 მოსწავლე იქნება), მოხვდება 162-ე საჯარო სკოლის შენობაში გამოყოფილ ფართში. ჩვენი სკოლის რესურსი დედმამიშვილების მიღების დროს ამოიწურა და ყველა ახლად მიღებული მოსწავლე უკვე 162-ე სკოლის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.“

სპორტი

აქეთ – ხმალი, იქით – რაპირა

ძალიან დიდი წარმატება მოიპოვა ქართულმა საფარიკაო სკოლამ – მოხმალავეთა ნაკრები, 23-წლამდელთა შორის, ევროპის ჩემპიონი გახდა! ჩემპიონატი ბელარუსში ჩატარდა. ჩვენს ნაკრებში ჭაბუკებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **მიხეილ მარდალეიშვილი**, **საბა სულამანიძე**, **ნიკა შენგელია** და **ვაჟა რეჭია** შედიოდნენ. თუმცა, მინსკში ეს ჩვენი ერთადერთი წარმატება არ ყოფილა – რაპირაში **ლუკა ღაღანიძე** მესამეზე გავიდა.

გუნდურში ჩვენმა კვარტეტმა პირველ წრეში ბულგარეთი ჩამოიშორა გზიდან – 45:34, შემდეგ მათ გზას რუმინეთიც გაუყენა – 45:31, ნახევარფინალში რუსებს დაულეწეს ხმლები – 45:41, რითაც რევანში აუღეს შარშანდელ ანალოგიურ ევროპირველობაზე ფინალში მარცხისთვის.

ამჟამინდელ ფინალში ჩვენებურთა მეტოქე განთქმული საფარიკაო სკოლის წარმომადგენელი იტალია აღმოჩნდა, ვინც მანამ ამ სამყაროს ასევე ორი ლიდერი – უნგრეთი და საფრანგეთი დაამარცხა. ქართული კვარტეტი მათაც იოლად გაუსწორდა – 45:36, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ფრანგებმა რუსებს 45:30 მოუგეს.

ამ წარმატებას წინ ღაღანიძის მედალი უძღოდა, რამაც მეტი სტიმული მისცა ჩვენს მოხმალავეებს. ჩვენმა მუშკეტერმა მინსკში მართლაც შემართებით იბრძოლეს და 9 შეხვედრა მოიგეს. მათ შორის – რუსთა მოქმედ მსოფლიო ჩემპიონთან. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რაპირაში მედალი პირველად მოვიპოვეთ.

ჩვენი ნაკრები ამ ჩემპიონატისთვის მინსკში ემზადებოდა, რაც ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. გუნდურ პირველობაში ჩვენი ნაკრები ფავორიტად მიიჩნეოდა და იმედები მართლაც ბოლომდე გაამართლეს. ნაკრების ხელმძღვანელობა ღაღანიძისგანაც ელოდა მედალს და ინდივიდუალურ პირველობაში ასევე ეიმედებოდათ მარდალეიშვილისა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია ნაკრებში. სამწუხაროდ, ამჯერად მან ბოლომდე ვერ გამოავლინა შესაძლებლობები – ჯგუფში მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგო და სამი წააგო, თუმცა პლეი ოფში მაინც გავიდა, მაგრამ იქაც პოლონელ

მიკოლაი გუეგორეკთან ერთი ჩხვლეტით 14:15 დამარცხდა.

ხმლით მოფარიკავეებს ახალი თაობა ნელ-ნელა წამოეზარდათ და მედლებსაც გაუშინაურდნენ: აქეთ მარდალეიშვილის ბრინჯაო ჭაბუკების მსოფლიოზე, იქით – **სანდრო ბაზაძე** 20 და 23-წლიანებში გახდა ევროპის ჩემპიონი, მერე კი სულაც რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე იასპარეზა. იყო მედლები გუნდურ ჩემპიონატებზე ასაკობრივ შეჯიბრებებში, თუმცა ევროპის გუნდური ჩემპიონობაც პირველი პრეცედენტია. რაც მთავარია, თაობა იზრდება და ნელ-ნელა გუნდიც ყალიბდება, იზრდება კონკურენციაც, რაც ამ ოლიმპიურ ციკლშივე გვიქადის წარმატებებს უკვე ეროვნული ნაკრების დონეზე.

სასკოლო ოლიმპიადა ზონალურ მიჯნაზე

მთელი ქვეყნის მასშტაბით გრძელდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შესარჩევი სპორტული ღონისძიებები. ეს მასობრივი ღონისძიება თანდათან გადის ფინიშის სწორზე – ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპის შეჯიბრებები, რაც რეგიონულ ტურნირებს მოიცავს. უკვე დასრულდა შიდა მუნიციპალური ასპარეზობები, რომელთა შედეგადაც გამოვლინდნენ რეგიონის პირველობების მონაწილე სასკოლო გუნდები სპორტის 10 სახეობაში, ახლა კი ისინი ზონალური ეტაპის მონაწილეებს გამოავლენენ. ამის შემდეგ გაირკვევა ზონების, ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჩემპიონები, რომლებიც დასკვნით ფინალურ პაექრობაში საქართველოს ჩემპიონის ტიტულისთვის გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ბევრ რეგიონსა და ბევრ სახეობაში უკვე დასრულდა შეჯიბრებები და ზონალური ეტაპის მონაწილენიც გაირკვნენ.

კახეთის ჩემპიონი მინი-ფეხბურთში დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში ყვარელს აჯობა, სამეგრელო-ზემო სვანეთში კი ზუგდიდის №6 სკოლამ იმარჯვა, ქვემო ქართლში – თეთრიწყაროს გუნდმა.

შაბათ-კვირას რამდენიმეგან მოეწყო შეჯიბრებები კროსში – ყვარელში ილიას ტბამ კახეთის პირველობას უმასპინძლა, რომელშიც რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის გუნდი მონაწილეობდა, თბილისში კი მორბენლები კუს ტბაზე შეიკრიბნენ, სადაც ერთმანეთს დედაქალაქის 62 კერძო თუ საჯარო სკოლის გუნდები ეჯიბრებოდნენ.

ზოგადად, ეს უქმეები თბილისში ძალიან დატვირთული გამოდგა სასკოლო ოლიმპიადის ღონისძიებებით. კვირას დიდი ხალხმრავლობა იყო ფილარმონიის მიმდებარედ, სადაც გაიმართა 3X3 კალათბურთში თბილისის საქალაქო პირველობის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები, რამაც მაყურებელიც ბლომად მიიზიდა. საბოლოოდ ბიჭებში თბილისის ჩემპიონი 114-ე საჯარო სკოლა გახდა, გოგონებში – 129-ე.

ახალციხემ სამცხე-ჯავახეთის პირველობას უმასპინძლა მაგიდის ჩოგბურთში, სადაც გოგონებში ასპინძელებმა, ბიჭებში კი ახალქალაქელებმა იმარჯვეს.

ქვეყნის რამდენიმე რეგიონში გამოვლინდნენ გამარჯვებულები ხელბურთში. მაგალითად, ქვემო ქართლში ჩემპიონი რუსთავის №3 სკოლის გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში ასპინძელებს მოუგო. სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელბურთო პირველობას ზუგდიდმა უმასპინძლა, თუმცა ის ფოთელთა სრული ჰეგემონიით დასრულდა – ბიჭებშიც და გოგონებშიც №2 სკოლამ იმარჯვა. ამაში არაფერია გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი სპორტის მასწავლებელი **დარეჯან გეფერიძეა** – პროფესიული კლუბების ცნობილი მწვრთნელი, რომლის გუნდებიც სისტემატურად მონაწილეობენ ხელბურთის სხვადასხვა ასაკობრივ შეჯიბრებებში, ხოლო ფოთელები, ბოლო წლებში, დიდი წარმატებით გამოდიან ბავშვთა ჩემპიონატებში. გეფერიძეს გუნდების გაწვრთნაში კიდევ ერთი საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელი **ირინა ჩარგაზია** ეხმარებოდა.

ასევე გაიმართა იმერეთის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის პირველობები ფრენბურთში, მცხეთა-მთიანეთის პირველობა მინი-ფეხბურთში და სხვ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ს ი ა ხ ლ ე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK